1966

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი — დეკემბერი

1966 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1966 წ.

F-3009

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

103. საქართველოს სს რესპუბლიკაში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის ზომების შესახებ.

104. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 20 სექტემბრის № 769 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

105. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის როლის გაძლიერების შესახებ.

106. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 სექტემბრის № 756 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

107. იმის შესახებ, რომ გადაყვანილ იქნან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკის, თერჯოლისა და გორის მექანიკური ქარხნების მუშაკები ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ორი გამოსასვლელი დღით

საქ. სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

108. სოფლის მეურნეობაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

109. „ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის საქმეში საუკეთესო მიღწევებისათვის რესპუბლიკის საგაზო მეურნეობათა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 14 დეკემბრის № 716 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

110. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

111. 1966 წლის მოსავლის თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის გამოყენების გეგმის შეცვლის შესახებ.

112. მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის საკითხები.

113. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ.

114. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივლისის № 410 დადგენილების № 1 დანართის მე-7 პუნქტის შეცვლის შესახებ.

115. საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე აშენებულ საცხოვრებელ ფართობში ჩასახლების წესის შესახებ.

116. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 სექტემბრის № 781 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

117. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 სექტემბრის № 756 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების გაუქმების შესახებ.

118. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ტექნიკური სასწავლებლების დებულების დამტკიცების შესახებ.

119. სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების შესახებ.

120. კომპლექსური ქსელური გრაფიკების საფუძველზე სახალხო მეურნეობაში ქსელური დაგეგმვისა და მართვის სისტემების დანერგვის ზომების შესახებ.

121. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 464 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

122. ქ. თბილისისა და რუსთავის საზღვრებს შორის მდებარე ზონის განაშენიანების აკრძალვის შესახებ.

123. საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

124. განკარგულება № 1648-გ.

125. განკარგულება № 1730-გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

103 საქართველოს სს რესპუბლიკაში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარების და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადების საქმეში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი. რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები მეტწილად ამზადებენ სპეციალობათა კადრებს, რომლებიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას სჭირდება.

ამავე დროს სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ამოცანები მოითხოვენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლებას.

ისეთ პირობებში, როდესაც მეცნიერება სულ უფრო და უფრო ფართოდ იჭრება მატერიალური წარმოების, კულტურული მშენებლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი კარგად უნდა იყვნენ შეიარაღებული მარქსისტულ-ლენინური თეორიით, დაუფლებულნი უახლეს ცოდნას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, უნარი შესწევდეთ კვალიფიციურად გადაწყვიტონ ეკონომიკის განვითარების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ამოცანები.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები ყოველთვის როდი ასრულებენ ამ ამოცანებს, მათ მუშაობას არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აგრეთვე სხვა უწყებანი, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან სასწავლებლები, ყოველთვის როდი იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისადმი, სუსტად იყენებენ იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებებს, რაც მათ მინიჭებული აქვთ სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ზედმი კონტროლის დარგში. არ წარმოებს სისტემატური მუშაობა სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, არ არის უზრუნველყოფილი სრულფასოვანი სტაბილური სახელმძღვანელოების მომზადება და საჭირო ტირაჟით გამოცემა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმებისათვის.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვას. უმაღლესი სასწავლებლების მიერ გამოშვებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა რაოდენობა ზოგიერთ სპეციალობაში აღემატება სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნილებას, მაშინ როდესაც მთლიანად რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნილება 70-75 პროცენტით კმაყოფილდება. ჯერ კიდევ არ არის დაწესებული ყველაზე მიზანშეწონილი თანაფარდობა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრების მომზადების საქმეში.

სასწავლებლების, განსაკუთრებით საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სასწავლო-მატერიალური ბაზა სრულიად არ შეესაბამება სასწავლო პროცესის და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის თანამედროვე მოთხოვნებს.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესების მიზნით და შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის № 729 დადგენილებისა „ჩვენს ქვეყანაში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის ზომების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის № 729 დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის ზომების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ შესაბამის ორგანიზაციებსა და უწყებებს.

2 დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც თავიანთ გამგებლობაში სასწავლებლები აქვთ, გააძლიერონ კონტროლი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობისადმი, მათი მთავარი ყურადღება მიაქციონ სწავლების ხარისხის ამაღლებისა და სტუდენტთა და მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესების ამოცანების შესრულებას.

№ 1103
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დონის ამაღლებას, განამტკიცონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით.

3. ვინაიდან სპეციალისტთა მომზადებას დღის სწავლებისას სამუშაოდან მოწყვეტით ძირითადი უპირატესობა აქვს როგორც სპეციალისტთა მომზადების ხარისხის მხრივ, ისე ეკონომიური მოსაზრებებითაც, დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს და ცეკავშირს:

ა) სპეციალისტთა მომზადების გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ დღის სწავლების შემდგომი უპირატესი განვითარება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;

ბ) მოამზადონ წინადადებანი იმ სპეციალობათა ნუსხის შესახებ, რომელთა მიხედვით უნდა წარმოებდეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადება საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სისტემაში.

4. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა პრაქტიკული მომზადების გაუმჯობესების მიზნით:

ა) დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარუდგინოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ საკავშირო დაქვემდებარების იმ საწარმოთა სია, რომლებიც მიმაგრებულ უნდა იქნან უმაღლეს სასწავლებლებზე, როგორც მუდმივი ბაზები სტუდენტთა მიერ პრაქტიკის გასავლელად;

ბ) დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებათა გამგებლობაში არსებულ საწარმოებს (დაწესებულებებს) მიამაგრებენ უმაღლეს სასწავლებლებს, როგორც მუდმივ ბაზებს სტუდენტთა მიერ პრაქტიკის გასავლელად, ეს სამინისტროები და უწყებები საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად;

გ) საწარმოების (დაწესებულებების) მიმაგრებას საშუალო სპეციალურ სასწავლებლებზე, როგორც მუდმივ ბაზებზე მოსწავლეთა მიერ პრაქტიკის გასავლელად, აწარმოებენ ის სამინისტროები და უწყებანი, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან სასწავლებლები, დამოუკიდებლად ან სხვა სამინისტროებთან (უწყებებთან) ერთად, რომლებსაც თავიანთ გამგებლობაში აქვთ ასეთი საწარმოები (დაწესებულებანი).

5. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მიიღონ ზომები და მომავალშიაც მოიზიდონ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა, დარგობრივი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სამრეწველო საწარმოების დიდი სპეციალისტები უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის საშტატო სამუშაოზე, ან შეთავსებით, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის დაწესებული შტატისა და საშტატო შემთავსებელთა ლიმიტების ფარგლებში.

საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა საჭირო დახმარება გაუწიონ ამ საქმეში უმაღლეს სასწავლებლებს.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიამ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა დაგეგმვისას გაითვალისწინონ იმ უმაღლესი სასწავლებლების მონაწილეობა, რომელთაც კვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები ჰყავთ, სამეცნიერო გამოკვლევების შესრულებაში საწარმოებთან და დაწესებულებებთან დადებული სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და ფულადი სახსრების გამოყოფა ამ მიზნებისათვის.

7. უფლება მიენიჭოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, გადასცენ უმაღლეს სასწავლებლებს კაპიტალური დაბანდებანი შენობათა ასაგებად და სასწავლო-სამეცნიერო მოწყობილობის შესაძენად წელიწადში 2,5 მილიონი მანეთის ფარგლებში თვითეული სამინისტროს (უწყების) მიხედვით.

კაპიტალურ დაბანდებათა გადაცემა აღნიშნული მოცულობით მოხდეს ისე, რომ არ შემცირდეს საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა, რაც დაწესებულია სამინისტროსათვის (უწყებისათვის).

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა კაპიტალურ დაბანდებათა წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტების შედგენისას გაითვალისწინოს საშუალო სპეციალური სასწავლებლების მშენებლობა და გაწყობა იმ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რაც გამოეყოფა საწარმოო მშენებლობისათვის სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთათვისაც ხორციელდება სპეციალისტების მომზადება ამ სასწავლებლებში.

9. ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების და განაწილების დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შესათანხმებლად უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მქონე სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შემუშავებული პროექტები უმაღლეს და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალო სპეციალურ სასწავლებლებში სტუდენტთა და მოსწავლეთა მიღების და ამ სასწავლებლებიდან სპეციალისტთა გამოშვების გეგმებისა თვითეული სპეციალობის მიხედვით.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გამგებლობაში გადაეცეს ყველა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებათა გამგებლობიდან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 15 ნოემბერი № 638

ასლი

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

1966 წლის 3 სექტემბერი

მოსკოვი, კრემლი

ჩვენს ქვეყანაში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის ზომების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადების საქმეში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები ამზადებენ ყველა სპეციალობის კადრებს, რომლებიც ჩვენს სახალხო მეურნეობას სჭირდება.

ამავე დროს სკკპ XXIII ყრილობის მიერ სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის დასახული ამოცანები მოითხოვენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლებას.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მეცნიერება სულ უფრო და უფრო ფართოდ იჭრება მატერიალური წარმოების, კულტურული მშენებლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი კარგად უნდა იყვნენ შეიარაღებული მარქსისტულ-ლენინური თეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიით, დაუფლებულნი უახლეს ცოდნას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, უნარი შესწევდეთ კვალიფიციურად გადაწყვიტონ ეკონომიკის განვითარების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის და წარმოების მართვის ამოცანები.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები ყოველთვის როდი ასრულებენ ამ ამოცანებს, მათ მუშაობას არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, აგრეთვე სხვა სამინისტროები და უწყებები, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან სასწავლებლები, არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მართვის ორგანოებისადმი, სუსტად იყენებენ იმ უფლებებს, რაც მათ მინიჭებული აქვთ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო-საკვლევი და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხისადმი კონტროლის ხაზით. სამინისტრო არ აწარმოებს სისტემატურ მუშაობას სასწავლებელთა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვანი სტაბილური სახელმძღვანელოების მომზადებას და გამოცემას საჭირო ტირაჟით უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმებისათვის, საკმაო ყურადღებას არ აქცევს იმ საკითხების შემუშავებას, რომლებიც დაკავშირებულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარების პერსპექტივებთან, განათლების ეკონომიკის პრობლემებთან და სასწავლო პროცესის მეცნიერულ ორგანიზაციასთან.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვას. არ არის დადგენილი უფრო მიზანშეწონილი თანაფარდობა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრების მომზადების საქმეში.

სასწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილის სასწავლო-მატერიალური ბაზა სრულად ვერ უპასუხებს სასწავლო პროცესის და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის თანამედროვე მოთხოვნებს.

უმაღლესი სასწავლებლები, რომლებსაც მაღალკვალიფიციური მეცნიერი მუშაკები ჰყავთ, სუსტად არიან ჩაბმული სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პრობლემების შემუშავებაში.

ზოგიერთი რესპუბლიკისა და ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეასუსტეს ყურადღება სტუდენტთა და მოსწავლეთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისადმი, შეამცირეს მომთხოვნელობა სასწავლებელთა ხელმძღვანელობის ორგანოებისადმი, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი.

უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესების, უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერების მიზნით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს სპეციალისტთა მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება თანამედროვე წარმოების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულ-

№ 103
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტურის მოთხოვნილებისა და მათი განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებული სპეციალისტები უნდა იყვნენ აღზრდილი მაღალი კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით, მარქსისტულ-ლენინურ თეორიას დაუფლებულნი და უნდა ჰქონდეთ მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ჩვევები.

2. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა გააძლიერონ კონტროლი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობისადმი, მათი მთავარი ყურადღება მიაქციონ სწავლების ხარისხის ამაღლებისა და სტუდენტთა და მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესების ამოცანების შესრულებას. ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დონის ამაღლებას, განამტკიცონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით.

3. საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ნება დაერთოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მოაწყოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტები ლენინგრადის, ურალის, დონის როსტოვისა და ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან სწავლების 5 თვემდე ვადით და 800 კაცის მისაღები საერთო კონტინგენტით.

გავრცელდეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებელ აღნიშნულ ინსტიტუტებზე მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 18 ივნისის № 9511 განკარგულებისა მსმენელთა მატერიალური უზრუნველყოფის ნაწილში.

4. იმ მიზნით, რომ შეიქმნას საბაზო უმაღლესი სასწავლებლები სასწავლო-მეთოდური მასალების განსაზოგადებლად და შესამუშავებლად, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოების შესადგენად, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად და გადასამზადებლად ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლებისათვის, — გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პირდაპირ გამგებლობაში უმაღლესი სასწავლებლები, დანართის თანახმად.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, გადასცენ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1966 წლის 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით შესაბამისი საგეგმო დავალებანი, შრომის ლიმიტები, ფონდები და ასიგნობანი, რომლებიც გათვალისწინებულია 1966 წელს აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაწესდეს, რომ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, უმაღლეს სასწავლებლების ფილიალებს და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებს შექმნიან და გააუქმებენ, აგრეთვე იმ ახალ სპეციალობათა ნუსხას, რომელთა მიხედვით უნდა ხორციელდებოდეს სპეციალისტთა მომზადება თვითეულ უმაღლეს სასწავლებელში, დაამტკიცებენ სამინისტროები და უწყებები, რომელთაც უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

6. სპეციალისტთა მომზადების ხარისხისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით, დაეკისროს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სსრ კავშირის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სახელმწიფო ინსპექტირება, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, აგრეთვე სსრ კავშირის იმ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, დაამტკიცოს ყველა სამინისტროსა, უწყებისა და ორგანიზაციისათვის სავალდებულო დებულება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული უმაღლესი სასწავლებლების სახელმწიფო ინსპექციის შესახებ.

7. ვინაიდან უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადებას დღის სწავლების დროს სამუშაოსაგან მოწყვეტით, როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა, ძირითადი უპირატესობა აქვს როგორც სპეციალისტთა მომზადების ხარისხის მხრივ, ისე ეკონომიური მოსაზრებებითაც, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც სასწავლებლები აქვთ, სპეციალისტთა მომზადების გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ დღის სწავლების შემდგომი უპირატესი განვითარება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში:

ა) განსაზღვრონ იმ სპეციალობათა ნუსხა, რომელთა მიხედვით უნდა წარმოებდეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადება საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სისტემაში;

ბ) დაწესდეს, რომ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლებისათვის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის დროს ჩარიცხვის უფლებით უპირატესად სარგებლობენ ის პირები, რომლებიც გაგზავნილი არიან საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ იმ სპეციალობის მიხედვით სასწავლებლად, რომელიც შეესაბამება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში შემსვლელის მუშაობის ხასიათს და რომლებმაც ჩააბარეს შესასვლელი გამოცდები.

8. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური განათლების სამინისტროსთან ერთად დაუწესოს თანამდებობრივი განაკვეთები დღის უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი და საღამოს სწავლების პროექტორებს, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი ან სამეცნიერო წოდება აქვთ, ამ უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო მუშაობის პროექტორების თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე (იმ სტუდენტთა რაოდენობის მიუხედავად, რომლებიც სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ).

9. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა პრაქტიკული მომზადების გაუმჯობესების მიზნით, დაწესდეს, რომ საწარმოების (დაწესებულებების) მიმაგრებას უმაღლეს სასწავლებლებზე, როგორც მუდმივ ბაზებზე სტუდენტთა მიერ პრაქტიკის გასავლელად, ახორციელებენ:

ა) სსრ კავშირის საწარმოებისა და უწყებებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებში (დაწესებულებებში) — ეს სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად (უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკური ორგანოების წარდგენით);

ბ) დანარჩენ საწარმოებში (დაწესებულებებში) — რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისადმი ხელმძღვანელობის ორგანოებთან ერთად.

საწარმოებს (დაწესებულებებს) მიამაგრებენ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს მუდმივ ბაზებად მოსწავლეთა მიერ პრაქტიკის გასავლელად სამინისტროები (უწყებები), რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან სასწავლებლები, დამოუკიდებლად ან იმ სხვა სამინისტროებთან (უწყებებთან) ერთად, რომელთაც თავიანთ გამგებლობაში აქვთ ასეთი საწარმოები (დაწესებულებები).

10. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, შეიმუშაოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ყველა სამინისტროსა, უწყებისა, საწარმოსა, დაწესებულებისა და სასწავლებლისათვის სავალდებულო დებულებანი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის შესახებ.

11. მიღებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებსაც ჰყავთ მასწავლებელთა ყველაზე კვალიფიციური კადრები და მოეპოვებათ თანამედროვე ლაბორატორული ბაზა, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტები 4 თვემდე სწავლების ვადით.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სასწავლო-დამხმარე და სხვა მომსახურე პერსონალის რაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენობა დაწესდეს ამ უმაღლესი სასწავლებლების დღის ფაკულტეტების არსებული შტატების შესაბამისად.

12. უნივერსიტეტებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების პედაგოგიური დისციპლინების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მოეწყოს 1967 წელს სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიასთან მუდმივმოქმედი უმაღლესი პედაგოგიური კურსები, რომელთა სწავლების ვადა განისაზღვროს 4 თვემდე და მისაღები კონტინგენტი 200 კაცით.

13. დაწესდეს, რომ, 1967 წლიდან დაწყებული, უმაღლესი სასწავლებლების სპეციალური დისციპლინების მასწავლებლები გადიან სტაჟს მოწინავე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, წამყვან უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებში ვადით 3 თვემდე (უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ). ამასთან უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის დაწესებული რაოდენობა უცვლელი რჩება.

საწარმოების, უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მიიღონ უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები სტაჟის გასავლელად და შეუქმნან მათ საჭირო პირობები, რათა გაეცნონ ისინი ტექნოლოგიას, თანამედროვე მოწყობილობას, ეკონომიკასა და წარმოების ორგანიზაციას.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცოს ინსტრუქცია უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სტაჟირების წესის შესახებ.

14. ნება დაერთოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მოაწყოს დღის დიდ უმაღლეს სასწავლებლებთან საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტები 4 თვემდე სწავლების ვადით.

საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებელთა, სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობა დაწესდეს ამ უმაღლესი სასწავლებლების დღის ფაკულტეტების არსებული შტატების შესაბამისად.

დარგობრივი სამინისტროების (უწყებების) გამგებლობაში არსებული ტექნიკუმების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების მსმენელთა სწავლების ხარჯებს გაიღებენ ეს სამინისტროები (უწყებები) კადრების მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად განკუთვნილი სახსრების ანგარიშში.

15. დაწესდეს, რომ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების და უმაღლესი პედაგოგიური კურსების მსმენელებს, აგრეთვე იმ მასწავლებლებს, რომლებიც სტაჟირებას გადიან საწარმოებში, დაწესებულებებსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ორგანიზაციებში უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიური მუშაობისათვის მოწყვეტით, შეუნარჩუნდებათ სწავლების ან სტაჟირების გავლის დროისათვის განაკვეთები ძირითადი თანამდებობის მიხედვით, ხოლო სხვაქალაქელ მსმენელებს (სტაჟიორებს), რომლებიც იღებენ ხელფასს 140 მანეთზე ნაკლებს თვეში, მიეცეთ, ამის გარდა, სტიპენდია თვეში 40 მანეთის ოდენობით, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ სტიპენდია და შენარჩუნებული ხელფასი არ აღემატებოდეს 140 მანეთს თვეში.

16. უფლება მიენიჭოთ უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტების დირექტორებს პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის დაწესებული შტატის და საშტატო შემთავსებელთა ლიმიტების ფარგლებში მიიღონ პედაგოგიურ სამუშაოზე შემთავსებლობის პირობებში, შესაბამისი განაკვეთის ნახევრის მიცემით, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები, რომლებიც სახალხო მეურნეობაში მუშაობენ.

17. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მიიღოს ზომები, რათა უფრო ფართოდ იქნან მოზიდული მეცნიერებათა აკადემიების დაწესებულებების, დარგობრივი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების დიდი სპეციალისტები უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის საშტატო სამუშაოზე ან შეთავსების წესით.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა საჭირო დახმარება გაუწიონ ამ საქმეში სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს.

18. უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ნება დართოს, როგორც გამონაკლისი, დიდ უმაღლეს სასწავლებლებს გამოსცენ სამეცნიერო და სასწავლო მეთოდური ლიტერატურა (სამეცნიერო შრომების კრებულები სასწავლებლის პროფილის მიხედვით, სამეცნიერო კონფერენციების მასალები, ლექციების ტექსტები, სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები).

დაწესდეს, რომ აღნიშნულ გამოცემათა გეგმებს დაამტკიცებენ ის სამინისტროები და უწყებები, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან უმაღლესი სასწავლებლები, და შეუთანხმებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, ნება დართოს, რომ მოეწყოს სტამბა იმ ცალკეულ უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის გამოცემის უფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. დაევალოთ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა დაგეგმვისას გაითვალისწინონ იმ უმაღლესი სასწავლებლების მონაწილეობა, რომლებსაც კვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები ჰყავთ, სამეცნიერო გამოკვლევების შესრულებაში საწარმოებთან და ორგანიზაციებთან სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და ფულადი სახსრების გამოყოფა ამ მიზნებისათვის.

20. იმისათვის, რომ მოზიდულ იქნან სამეცნიერო მუშაობისათვის უმაღლესი სასწავლებლების მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებელთა კადრები, ნება დაერთოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დააწესოს (სიის მიხედვით) ჩვენი ქვეყნის 25 წამყვან უმაღლეს სასწავლებელში, რომლებიც ასრულებენ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე მეცნიერულ გამოკვლევებს, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის და სასწავლო-დამხმარე პერსონალის დამატებითი შტატები იმ სამეცნიერო გამოკვლევების მოცულობის მიხედვით, რასაც უმაღლესი სასწავლებელი ასრულებს, ამასთან იქონიოს მხედველობაში იმ მეცნიერთა ნაწილობრივ განტვირთვა სასწავლო დატვირთვისაგან, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გამოუყონ შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებს აღნიშნული მიზნებისათვის, 1967-1968 სასწავლო წლიდან დაწყებული, შრომის დამატებითი ლიმიტები და ასიგნობანი მუშაკთა საერთო რაოდენობის, ხელფასის ფონდისა და ასიგნობათა ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია მეცნიერების განვითარებისათვის.

21. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად დაადგინოს წესი სამინისტროების და უწყებების დაჯილდოებისა ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ხარჯზე, რათა მიეცეთ პრემიები ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებსა და მასწავლებლებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

22. სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა შემდგომი განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, უფლება მიენიჭოთ უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს გამოიყენონ იმ სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოებისათვის გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხების 75 პროცენტი, რომლებიც სამეურნეო ხელშეკრულებებით სრულდება, უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის, იმ ასიგნობათა გადამეტებით, რაც გაღებულია კაპიტალური დაბანდებების გეგმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 12 აპრილის № 456 დადგენილების მე-9 პუნქტი.

23. უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის სამინისტროებს (უწყებებს), სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და რესპუბლიკურ სამინისტროებთან (უწყებებთან) ერთად, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებთან შეთანხმებით გადასცენ უმაღლეს სასწავლებლებს კაპიტალური დაბანდებანი შენობათა ასაშენებლად და სასწავლო და სამეცნიერო მოწყობილობის შესაძენად წელიწადში 2,5 მილიონ მანეთის ფარგლებში თვითეული სამინისტროს (უწყების) მიხედვით.

აღნიშნული მოცულობის კაპიტალურ დაბანდებათა გადაცემა მოხდეს ისე, რომ არ შემცირდეს საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა, რომელიც დაწესებულია სამინისტროსათვის (უწყებისათვის).

24. იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი, აგრეთვე უკეთ იქნას მომზადებული ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდობა სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის, დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რათა ფართოდ იქნან მოზიდული სტუდენტები სამეცნიერო გამოკვლევების ჩასატარებლად უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლების და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საქარხნო ლაბორატორიებისა და საცდელი სასოფლო-სამეურნეო სადგურების მეცნიერი მუშაკების ხელმძღვანელობით.

სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში წარმატებებისათვის სტუდენტთა წასახალისებლად ნება დაერთოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ყოველწლიურად მიანიჭოს სტუდენტებს 300-მდე მედალი, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 12 აპრილის № 456 დადგენილების შესაბამისად.

25. დაწესდეს, რომ საშუალო სპეციალური სასწავლებლების მშენებლობა და გაწყობა ხორციელდება იმ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რაც გამოეყოფათ საწარმოო მშენებლობისათვის იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთათვისაც ხორციელდება სპეციალისტთა მომზადება ამ სასწავლებლებში.

26. ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებისა და განაწილების დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით, დაეკისროთ:

ა) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს — შეიმუშაოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის იმ სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა საფუძველზე, რომლებსაც სასწავლებლები აქვთ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტები და წარუდგინონ ისინი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

ბ) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს — დაამტკიცონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროსთან შეთანხმებით გეგმები სტუდენტთა და მოსწავლეთა მომზადება და სპეციალისტთა გამოშვებისა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან თვითეული სპეციალობის მიხედვით;

გ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — შეიმუშაოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა საფუძველზე იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა საუწყებათაშორისო და სარესპუბლიკათაშორისო განაწილების გეგმები, რომლებიც ამთავრებენ დღის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს.

27. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 9 მაისის № 533 დადგენილების შესაცვლელად, მიეცეთ ახალგაზრდა სპეციალისტებს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომები უშუალოდ სადიპლომო პროექტის დაცვის ან სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 მაისის № 499 დადგენილების მე-7 პუნქტი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დამთავრების დიპლომების ჩამორთმევას სპეციალისტებისათვის.

28. დაეკისროს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს — მოაწყოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისადმი ხელმძღვანელობის ორგანოების გამგებლობაში არსებული უმაღლესი სასწავლებლების მომარაგება სპეციალური სასწავლო და სამეცნიერო მოწყობილობით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ წლიური სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებით აღნიშნული მოწყობილობის გამოყოფა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის.

29. ნება დაერთოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დირექტორებს გამოიყენონ სასტიპენდიო ფონდის სახსრების ერთ პროცენტამდე უმაღლესი სასწავლებლების იმ სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად, რომლებიც დროებით ხელმოკლეობას განიცდიან, აგრეთვე მათ წასახალისებლად სასწავლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის.

30. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს:

ა) პროექტი დებულებისა სამინისტროს შესახებ იმ ცვლილებათა გათვალისწინებით, რომლებიც ამ დადგენილებიდან გამომდინარეობენ;

ბ) პროექტები დებულებებისა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების შესახებ, ამასთან გაითვალისწინოს ამ პროექტებით სასწავლებელთა მუშაობის შემდგომი დემოკრატიზაცია, უმაღლესი სპეციალური სასწავლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების რექტორების და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დირექტორების უფლებების გაფართოება და მათთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება სასწავლო-სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობის საკითხების გადაწყვეტაში, აგრეთვე ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სტუდენტთა და მოსწავლეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივის გაშლა და აქტივობის ამაღლება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების, სტუდენტთა და მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

31. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას სსრ კავშირის მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. ბრეჟნევი.**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

F-3009

სსრ სსრ ... რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 3 სექტემბრის № 729
დადგენილების დანართი

ს ი ა

უმაღლესი სასწავლებლებისა, რომლებიც გადაცემულია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უშუალო გამგებლობაში

გადაცემულია რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს გამგებლობიდან

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი

მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ენერგეტიკული ინსტიტუტი

მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ლენინის ორდენოსანი საავიაციო ინსტიტუტი.

ლენინგრადის წითელი დროშის ორდენოსანი მექანიკური ინსტიტუტი

მოსკოვის საინჟინერო-ფიზიკური ინსტიტუტი

ყაზანის ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოსკოვის დ. ი. მენდელეევის სახელობის ლენინის ორდენოსანი ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი

მოსკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტი

ლენინგრადის გემთმშენებლობის ინსტიტუტი

მოსკოვის სამთო ინსტიტუტი

ჩელიაბინსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

მოსკოვის ფოლადისა და შენადნობთა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ინსტიტუტი

მოსკოვის აკადემიკოს ი. მ. გუბკინის სახელობის ნავთობქიმიური და გაზის მრეწველობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ინსტიტუტი

ლენინგრადის ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის ინსტიტუტი

მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის საინჟინერო-ეკონომიური ინსტიტუტი

მოსკოვის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის საინჟინერო-სამშენებლო შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ინსტიტუტი

მოსკოვის ელექტრონული ტექნიკის ინსტიტუტი

მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტი

მოსკოვის მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი

მოსკოვის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვის საფინანსო ინსტიტუტი.

მოსკოვის ეკონომიურ-სტატისტიკური ინსტიტუტი.

მოსკოვის მორის ტორეზის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

სრულიად საკავშირო დაუსწრებელი პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

სრულიად საკავშირო დაუსწრებელი საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი.

სრულიად საკავშირო იურიდიული დაუსწრებელი ინსტიტუტი.

გადაცემულია უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს გამგებლობიდან

დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ხარკოვის საავიაციო ინსტიტუტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

104 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 20 სექტემბრის № 769 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 20 სექტემბრის № 769 დადგენილებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის № 38 დადგენილებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 11 ოქტომბრის № 648 დადგენილება „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ“.

2. „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და სარწყავი მიწათმოქმედების სპეციალისტთა მომზადების გაფართოებისა და გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 15 აგვისტოს № 514 დადგენილების მე-4 პუნქტის ქვეპუნქტი „დ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 20 სექტემბერი № 663.

105 რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის როლის გაძლიერების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 9 სექტემბრის № 753 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის როლის გაძლიერების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს პროფესიულ-ტექნიკური განათლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისადმი ხელმძღვანელობა რესპუბლიკაში, რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა პროფესიული მომზადების ორგანოებთან ერთად და მეთოდური დახმარების გაწევა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის იმ მხრივ, რომ მოეწყოს მუშათა პროფესიული სწავლება უშუალოდ წარმოებაში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) განახორციელოს ერთიანი ხელმძღვანელობა იმისადმი, რომ მომზადებულ იქნან მუშათა კვალიფიციური კადრები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და უშუალოდ წარმოებაში; შემდგომ აუმჯობესოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად;

ბ) შეიმუშაოს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შესაბამისად, პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარებისა და სასწავლებლის კურსდამთავრებულთა განაწილების გეგმების პროექტები;

გ) დახმარება გაუწიოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს ასამუშავებელი ობიექტებისათვის საჭირო კვალიფიციური მუშების მომზადების და იმ მუშაკთა გადამზადების საქმეში, რომლებიც თავისუფლდებიან წარმოების კომპლექსურ მექანიზაციასთან და ავტომატიზაციასთან დაკავშირებით;

დ) უზრუნველყოს კვალიფიციური მუშების მომზადების მაღალი ხარისხი და კონტროლი გაუწიოს საქართველოს სსრ მთავრობის მიერ პროფესიულ-ტექნიკური განათლების საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მითითებანი მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სავალდებულოა რესპუბლიკის სამინისტროებისა, უწყებებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებას ახორციელებენ.

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, განიხილოს საკითხები, რომ გადაეცეს იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, მუშათა კადრების მოსამზადებელი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, რომლებიც სამინისტროებისა და უწყებათა გამგებლობაში იმყოფებიან, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების უშუალო გამგებლობაში და შესაბამისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროექტი დებულებისა კომიტეტის შესახებ.

6. რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების ქსელის მნიშვნელოვნად გაფართოებასთან დაკავშირებით, დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს რესპუბლიკის 1967 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის საბოლოო შედგენისას განიხილონ საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის აპარატის მუშაკთა რაოდენობის გადიდების შესაძლებლობის შესახებ.

7. სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 9 სექტემბრის № 753 დადგენილება „სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის როლის გაძლიერების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ყველა სამინისტროსა და უწყებას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 29 ნოემბერი, № 664.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ასლი

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 753

1966 წლის 9 სექტემბერი

მოსკოვი, კრემლი

სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის როლის გაძლიერების შესახებ

ჩვენს ქვეყანაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომი განვითარებისა და კვალიფიციურ მუშათა კადრების (უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობის რიცხვიდან) მომზადების გაუმჯობესების მიზნით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაეკისროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს პროფესიულ-ტექნიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობა ჩვენს ქვეყანაში, რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა პროფესიული მომზადება შესაბამის ორგანოებთან ერთად და მეთოდური დახმარების გაწევა სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისათვის იმ მხრივ, რომ მოეწყოს მუშების პროფესიული სწავლება უშუალოდ წარმოებაში.

2. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანებია:

განახორციელოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა იმ მხრივ, რომ მომზადებულ იქნან კვალიფიციურ მუშათა კადრები სახალხო მეურნეობისათვის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და უშუალოდ წარმოებაში; შემდგომ აუმჯობესოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად;

შეიმუშაოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, სახალხო მეურნეობის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვნილების შესაბამისად პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარებისა და სასწავლებლის კურსდამთავრებულთა განაწილების გეგმების პროექტები;

დახმარება გაუწიოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს ასამუშავებელი ობიექტებისათვის საჭირო კვალიფიციურ მუშათა მომზადებისა და იმ მუშაკთა გადამზადების საქმეში, რომლებიც თავისუფლდებიან წარმოების კომპლექსურ მექანიზაციასთან და ავტომატიზაციასთან დაკავშირებით.

უზრუნველყოს კვალიფიციურ მუშათა მომზადების მაღალი ხარისხი; განსაზღვროს პროფესიების ნუსხა, შინაარსი და სწავლების რაციონალური ვადები; შეიმუშაოს შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად და დაამტკიცოს სასწავლო გეგმები და პროგრამები, სახელმძღვანელოები და სხვა მეთოდური და ნორმატიული დოკუმენტაცია მუშათა კადრების პროფესიულ-ტექნიკური მომზადების ყველა სახეობისათვის;

მოაწყოს სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა პროფესიულ-ტექნიკური განათლების პრობლემებზე;

ხელმძღვანელობა გაუწიოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ინჟინერ-პედაგოგიურ მუშაკთა გადამზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

კონტროლი გაუწიოს სსრ კავშირის მთავრობის მიერ პროფესიულ-ტექნიკური განათლების საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, სასწავლებელთა ქსელის გაშლას და მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას;

განახორციელოს უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება; მონაწილეობა მიიღოს სასწავლებლებში მუშათა კადრების მომზადებისათვის საჭირო ასიგნობათა განსაზღვრაში, აგრეთვე იმაში, რომ უზრუნველყოფილ იქნან სასწავლებლები მოწყობილობითა და მასალებით სასწავლო მიზნებისათვის; შეიმუშაოს მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის ნორმები;

განახორციელოს დადგენილი წესით საგარეო კავშირურთიერთობა პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მითითებანი მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სავალდებულოა სამინისტროებისა, უწყებებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადებას ახორციელებენ.

დაწესდეს, რომ მუშათა კადრების მომზადება ჩვენი ქვეყნის ყველა სამინისტროსა და უწყების პროფესიულ სასწავლებლებსა და სკოლებში ხორციელდება იმ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით, რომლებსაც დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი.

4. დაწესდეს, რომ პროფესიულ-ტექნიკური განათლების რესპუბლიკური ორგანოები ემორჩილებიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სა-

ხელმწიფო კომიტეტს და თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ დებულებებით, რომლებსაც შეიმუშავებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი.

5. ნება დაერთოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხები, რომ გადაეცეს იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, მუშათა კადრების მოსამზადებელი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, რომლებიც სამინისტროებისა და უწყებების გამგებლობაში იმყოფებიან, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების უშუალო გამგებლობაში.

6. ინჟინერ-მასწავლებელთა კადრების მომზადებისა და გადამზადების გაუმჯობესების, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის შემდგომი განვითარების მიზნით:

ა) გადაეცეს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ტექნიკუმები, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების გამგებლობაში იმყოფებიან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის უშუალო გამგებლობაში;

ბ) ნება დაერთოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს შექმნას პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ინჟინერ-პედაგოგიურ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სრულიად საკავშირო ინსტიტუტი ქ. ლენინგრადში და მოაწყოს იქ, სადაც ეს საჭიროა, მისი ფილიალები;

გ) გადაეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობიდან პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ქ. ლენინგრადში, ამასთან გადაკეთდეს იგი პროფესიულ-ტექნიკური განათლების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტად.

7. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, დანართის თანახმად.

8. დაწესდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის შტატი 200 ერთეულის რაოდენობით (შენობათა დაცვისა და მომსახურე პერსონალის ჩაუთვლელად).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის შტატის გადიდება მოხდეს რუსეთის სფსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების აპარატის შემცირების ხარჯზე.

9. შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტში შტატი კომიტეტის თავმჯდომარის 4 მოადგილისა (პირველი მოადგილის ჩათვლით) და კოლეგია არა უმეტეს 13 კაცისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროექტი დებულებისა კომიტეტის შესახებ.

* *
*

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების ყურადღებას მიაქცევენ იმ გარემოებას, რომ საჭიროა ყოველნაირად გაუმჯობესდეს კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადება სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, გაძლიერდეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდა, გადიდდეს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ჩვენს ქვეყანაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ა. კოსიგინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 9 სექტემბრის № 753
დადგენილების დანართი

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატისა

სასწავლო-მეთოდური სამმართველო
საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილება
მანქანათმშენებლობისა, ხელსაწყოთმშენებლობისა და ელექტრონული მრეწველობისათვის მუშათა კადრების მომზადების განყოფილება
ქიმიური, მეტალურგიული და სათბობი მრეწველობისათვის მუშათა კადრების მომზადების განყოფილება
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისათვის მუშათა კადრების მომზადების განყოფილება
მშენებლობისათვის, ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობისათვის მუშათა კადრების მომზადების განყოფილება
მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის და იმ დარგებისათვის მუშათა კადრების მომზადების განყოფილება, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობას
სოფლის მეურნეობისათვის მუშათა კადრების მომზადების განყოფილება
კადრებისა და ინჟინერ-პედაგოგიურ მუშაკთა მომზადების განყოფილება
საგეგმო-ეკონომიური სამმართველო
საგარეო ურთიერთობათა განყოფილება
სამეცნიერო საბჭო
ცენტრალური ბუღალტერია
პირველი განყოფილება
კანცელარია (განყოფილების უფლებებით), რომლის შემადგენლობაში შევა იურიდიული ნაწილი არბიტრაჟითა და სამდივნოთი
სამეურნეო განყოფილება
მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან არსებული ორგანიზაციები

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი
პროფესიულ-ტექნიკური განათლების ცენტრალური სასწავლო-მეთოდური **კაბინეტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ინჟინერ-პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სრულიად საკავშირო ინსტიტუტი
სასწავლო-თვალსაჩინო სახელმძღვანელოების დამამზადებელი სრულიად საკავშირო ტრესტი სამრეწველო საწარმოებით
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებია ჟურნალები „პროფესიონალნო-ტეხნიჩესკოე ობრაზოვანიე“ და „ზნანიე-სილა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

106 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 სექტემბრის № 756 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 სექტემბრის № 756 დადგენილებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის № 38 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. პუნქტი 14 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 7 სექტემბრის № 1209 დადგენილებისა „სარწყავი მიწების უფრო სრულად გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის გაუმჯობესების მიზნით რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 8 ივნისის № 702 დადგენილება „სოფლის მეურნეობის იმ სპეციალისტთა მოსამზადებელი ორთვიანი კურსების მოწყობის შესახებ, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნან კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მუავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 26 დეკემბერი, № 715.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

107 იმის შესახებ, რომ გადაყვანილ იქნან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკის, თერჯოლისა და გორის მექანიკური ქარხნების მუშაკები ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ორი გამოსასვლელი დღით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ გადაყვანილ იქნან ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ორი გამოსასვლელი დღით თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკის, თერჯოლისა და გორის მექანიკური ქარხნების მუშაკები იმ პირობით, თუ დაცულ იქნა მათთვის დაწესებული სამუშაო საათების კვირის ნორმა.

2. გადაყვანა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ორი გამოსასვლელი დღით განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნებული იქნება წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, ხელფასის ფონდის დაწესებული დავალება, აგრეთვე მოგებისა და საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმა.

3. დაწესდეს, რომ როდესაც ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნული მუშაკებისათვის შემოღებული იქნება ხუთდღიანი სამუშაო კვირა ორი გამოსასვლელი დღით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანგრძლიობა მორიგი და დამატებითი შვებულებისა კვირის მეორე დასასვენებელი დღის ხარჯზე არ გადიდდება.

4. დაევალოთ ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნული საწარმოების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ საწარმოო და სამეურნეო კავშირურთიერთობის შენარჩუნება სხვა საწარმოებთან, აგრეთვე გამსაღებელ, მომმარაგებელ და სატრანსპორტო ორგანიზაციებთან.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს
პროფსაბჭოს თავმჯდომარე
შ. კიკნაძე.

ქ. თბილისი, 1966 წ. 4 ნოემბერი, № 621.

ეროვნული ბიბლიოთეკა

108 სოფლის მეურნეობაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულების, კოლმეურნეთა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა შრომითი აქტივობის და შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1966 წლის 28 ივლისის № 616 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1966 წლის 28 ივლისის № 616 დადგენილება „სოფლის მეურნეობაში სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს და დაევალოთ მათ მიიღონ ზომები სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, წარმართონ იგი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისტემატურად შეამოწმონ შეჯიბრების მიმდინარეობა ადგილებზე, უზრუნველყონ შეჯიბრების შედეგების დროულად შეჯამება და ფართოდ გაშუქება.

2. დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტების და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშამოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის და ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები პირველი ფულადი პრემიებით, აგრეთვე მეორე და მესამე ფულადი პრემიები ზემოაღნიშნული სამინისტროებისა და უწყებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების წასახალისებლად, რომლებმაც რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, № 1 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ყოველწლიურად გაითვალისწინოს რესპუბლიკის ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის დარგში სათანადო სახსრები რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეობათა დასაჯილდოებლად. 1967 წელს კოლმეურნეობათა დასაჯილდოებლად სახსრები გამოყოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საოპერაციო ხარჯების საერთო ასიგნობებიდან.

ფულადი პრემიების მიცემა საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მოხდეს შესაბამისი საწარმოს ან ორგანიზაციის ზეგეგმითი მოგების ან ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე.

3. დაწესდეს, რომ იმ ფულადი პრემიების ოდენობა, რაც მიეკუთვნება კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და ამ დადგენილების მე-2 პუნქტში აღნიშნული სამინისტროებისა და უწყებების სხვა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, განისაზღვრება სკალით, № 2 დანართის თანახმად.

4. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება, მათთვის გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების მინიჭება იწარმოებს წელიწადში ერთხელ, წლის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით, ხოლო სხვა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში — ყოველკვარტალურად სამინისტროების, უწყებების კოლეგიებისა და პროფკავშირთა შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმების ერთობლივ სხდომებზე, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანიჭებენ გარდამავალ წითელ დროშებს პირველი ფულადი პრემიებით, მეორე და მესამე ფულად პრემიებს, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მინიჭება პირველი ფულადი პრემიებით იწარმოებს სამინისტროებისა და უწყებების და პროფკავშირთა შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტების წარდგენით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა და ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ ამ დადგენილების შესაბამისად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს წარმოუდგინონ სოფლის მეურნეობაში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების პირობები და წესი.

6. დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობაში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მისაკუთვნებელი ფულადი პრემიების სულ ცოტა 70 პროცენტი უნდა წარიმართოს წარმოების მოწინავეთა, მეურნეობების სპეციალისტთა და ხელმძღვანელთა დასაჯილდოებლად.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს:

ა) სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მიღებული ფულადი პრემიები გამოიყენონ იმ კოლმეურნეთა და სპეციალისტთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოციალისტურ შეჯიბრებაში: როდესაც ხდება პრემიების დარიცხვა 2 ათას მანეთზე ნაკლები რაოდენობით — დარიცხული თანხის 100 პროცენტამდე, როდესაც ხდება პრემიების დარიცხვა 2 ათას მანეთზე მეტი რაოდენობით — დარიცხული თანხის 70 პროცენტამდე, ხოლო პრემიის დანარჩენი ნაწილი მოახმარონ კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას;

ბ) გამოყონ სახსრები კოლმეურნეთა, კოლმეურნეობების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის კოლმეურნეობაში მომუშავეთა შრომის საზღაურის საერთო ფონდში მათი შრომის საზღაურის ფონდის პროპორციულად;

გ) პრემიების ოდენობა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა, მათი მოადგილეებისა, მთავარი სპეციალისტებისა და მთავარი ბუღალტრებისათვის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესდეს მათი საშუალო თვიური ხელფასის (განაკვეთის) არა უმეტეს 50 პროცენტისა.

სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების მთელი სახსრების ხარჯვას ეწევა კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეობის პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას მოამზადოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილებათა ნუსხა, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 1 დეკემბერი, № 658.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის
1966 წლის 1 დეკემბრის № 658
დადგენილების დანართი № 1

რ ა ო დ ე ნ ო ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის და ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებისა პირველადი ფულადი პრემიებით, მეორე და მესამე ფულადი პრემიებისა — კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს და საქ. პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები პირველი ფულადი პრემიებით	სამინისტროების, უწყებების და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები პირველი ფულადი პრემიებით	მეორე პრემიები	მესამე პრემიები
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო				
საბჭოთა მეურნეობებისათვის . .	2	4	4	4
კოლმეურნეობებისათვის	6	12	16	16
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა"	1	1	1	1
საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო . .	1	1	1	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტების და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველო	1	1	1	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი	1	1	1	1

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის
1966 წლის 1 დეკემბრის № 658
დადგენილების დანართი № 2

სკალა პრემიებისა

კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტების და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს:

მომუშავეთა რაოდენობა საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ხოლო კოლმეურნეობებში—შრომისუნარიანთა რაოდენობა (კაცი)	პრემიების ოდენობა (მანეთობით)		
	პირველი პრემია	მეორე პრემია	მესამე პრემია
100-დან 150-მდე	800	600	400
151-დან 200-მდე	1400	1050	700
201-დან 250-მდე	1700	1300	850
251-დან 300-მდე	1900	1400	950
301-დან 400-მდე	2300	1700	1150
401-დან 500-მდე	2800	2100	1400
501-დან 750-მდე	4200	3150	2100
751-დან 1000-მდე	5600	4200	2800
1001-დან 1250-მდე	7000	5250	3500
1251-დან 1500-მდე	8400	6300	4200
1501-დან 1750-მდე	10000	7500	5000
1751-დან 2000-მდე	11200	8400	5600
2100-დან 2500-მდე	12600	9450	6300
2501-დან 3000-მდე	14000	10500	7000
3001-დან 4000-მდე	18200	13650	9100
4001-დან 5000-მდე	22500	16900	11250
5001-დან 7500-მდე	28100	21100	14050
7501-დან 10000-მდე	33700	25300	16850
10001-დან 12500-მდე	36500	27400	18250
12501-დან 15000-მდე	39500	29600	19750
15001-დან 20000-მდე	45000	33750	22500
20001-დან 25000-მდე	50000	37500	25000
25001-დან 30000-მდე	56200	42150	28100
30001-დან 40000-მდე	67500	50600	33750
40001-დან და მეტი	76500	56400	38250

შენიშვნა:

1. პრემიები იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, გაიცემა მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად პრემიის იმ თანხიდან, რაც დაწესებულია იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცს შეადგენს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისას პრემიის ოდენობა კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, საწარმოს, ორგანიზაციას გაუდიდდება 25 პროცენტით სკალით გათვალისწინებულ პირველი პრემიის თანხასთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 616

1966 წლის 28 ივლისი

სოფლის მეურნეობაში სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულების, კოლმეურნეთა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა შრომითი აქტივობის და შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წინადადებანი სოფლის მეურნეობაში სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ:

ა) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა, მხარეებისა, ოლქებისა, რაიონებისა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა — ქვეყნის ზონების მიხედვით;

ბ) საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აგრეთვე სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“, სსრ კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის სისტემების საწარმოებისა და ორგანიზაციებისა — დარგობრივი პრინციპის მიხედვით.

2. სოფლის მეურნეობის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, რაიონების, ოლქების, მხარეების, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების წასახალისებლად დაწესდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები, აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები ფულადი პრემიებით, № 1 დანართის თანახმად.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს ასიგნობანი ამ მიზნებისათვის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვით.

3. სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ სისტემების საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების წასახალისებლად, რომლებმაც სოფლის მეურნეობის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, დაწესდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები ფულადი პრემიებით, № 2 დანართის თანახმად.

ფულადი პრემიების მიცემა საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მოხდეს შესაბამისი საწარმოს ან ორგანიზაციის ზეგეგმითი მოგების ან ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე.

სამინისტროების, უწყებების და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშების დაწესება პირველი ფულადი პრემიებით, აგრეთვე მეორე და მესამე ფულადი პრემიების დაწესება აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის ხდება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 14 ნოემბრის № 930 დადგენილებით.

4. დაწესდეს, რომ იმ ფულადი პრემიების ოდენობა, რომლებიც მიეცემათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და ამ დადგენილების მე-3 პუნქტში აღნიშნულ სამინისტროებისა და უწყებების სხვა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, განისაზღვრება სკალით, № 3 დანართის თანახმად.

5. დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობაში სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება ქვეყნის ზონების მიხედვით და გარდამავალი წითელი დროშების და ფულადი პრემიების მინიჭება კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, რაიონებისა, ოლქებისა, მხარეებისა, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკებისათვის წარმოებს ერთხელ წლის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით, ხოლო სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრუ-

ლიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებსა და ორგანიზაციებში და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უშუალო გამგებლობაში არსებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში — კვარტალის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით.

6. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტს, სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების პირობები და წესი.

7. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს მიიღონ ზომები სოფლის მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, სისტემატურად შეამოწმონ შეჯიბრების მიმდინარეობა ადგილებზე, უზრუნველყონ შეჯიბრების შედეგების დროულად შეჯამება და ფართოდ გაშუქება.

8. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოებთან ერთად განიხილონ საკითხი, რომ გაუმჯობესდეს მოკავშირე რესპუბლიკებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის, წყალთა მეურნეობის, „სოფლტექნიკის“ და დამზადების სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრება.

რჩევა მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ყოველწლიურად გამოყონ ფულადი სახსრები რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეობათა დასაჯილდოებლად.

9. ნება დაერთოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოებს, აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს მოკავშირე რესპუბლიკებში ან მთლიანად დარგების მიხედვით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის დროს დაადგინონ შეჯიბრების პირობები და წესი მისი შედეგების შეჯამებისა გარდამავალი წითელი დროშების და ფულადი პრემიების მინიჭებით, კვარტალების ან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, დაადგინონ წესი საბჭოთა მეურნეობების შიგნით შეჯიბრების მონაწილეთა წახალისების ფონდის შექმნისა იმ საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით არ გააჩნიათ საწარმოთა ფონდები, — პროდუქციის რეალიზაციის თანხის 0,3 პროცენტის ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს საბჭოთა მეურნეობის ხელფასის წლიური ფონდის 0,5 პროცენტისა.

11. დაწესდეს, რომ ფულადი პრემიებიდან, რომლებიც მიენიჭება რესპუბლიკას, მხარეს, ოლქს, რაიონს სოფლის მეურნეობაში, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებისათვის, არანაკლებ 70 პროცენტისა უნდა მოხმარდეს წარმოების მოწინავეთა, სპეციალისტთა და მეურნეობის ხელმძღვანელთა დაჯილდოებას.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს:

ა) სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მიღებული ფულადი პრემიები გამოიყენონ იმ კოლმეურნეთა და სპეციალისტთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სოციალისტურ შეჯიბრებაში: როდესაც ხდება პრემიების დარიცხვა 2 ათას მანეთზე ნაკლები რაოდენობით — დარიცხული თანხის 100 პროცენტამდე, როდესაც ხდება პრემიების დარიცხვა 2 ათას მანეთზე მეტი რაოდენობით — დარიცხული თანხის 70 პროცენტამდე, ხოლო პრემიების დანარჩენი თანხა გამოიყენონ კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად;

ბ) გამოყონ სახსრები კოლმეურნეთა, კოლმეურნეობების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის კოლმეურნეობაში მომუშავეთა შრომის ანაზღაურების საერთო ფონდში მათი შრომის საზღაურის ფონდის პროპორციულად;

გ) კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა, მათი მოადგილეებისა, მთავარი სპეციალისტებისა და მთავარი ბუღალტრებისათვის პრემიების ოდენობა დააწესონ მათი საშუალო ხელფასის (განაკვეთის) არა უმეტეს 50 პროცენტისა.

სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების მთელი სახსრების ხარჯვას ეწევა კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეობის პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით.

12. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**	სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ვ. გრიუზინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და
პროფესიულ კავშირთა სრულიად
საკავშირო ცენტრალური საბჭოს
1966 წლის 28 ივლისის № 616
დადგენილების დანართი № 1

რ ა ო დ ე ნ ო ბ ა

გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიებისა, რომლებიც დაწესებულია იმ რესპუბლიკების, ოლქების, მხარეების, რაიონების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების წასახალისებლად, რომლებმაც გაიმარჯვეს სოფლის მეურნეობის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში

	რაოდენობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშებისა ფულადი პრემიებით				რაოდენობა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებისა კოლმეურნეობებისათვის ფულადი პრემიებით პრემიების სკალის მიხედვით
	რესპუბლიკებისა და ოლქებისათვის 25 ათასი მან. პრემიით თვითეულს	რაიონებისათვის 10 ათასი მან. პრემიით თვითეულს	სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებისა, ცხენსაშენებისა, სანაშენოებისათვის მეფრინველეობის ფაბრიკებისათვის ექსპერიმენტული, სასწავლო-საცდელი და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფულადი პრემიით პრემიების სკალის მიხედვით	კოლმეურნეობებისათვის ფულადი პრემიით პრემიების სკალის მიხედვით	
რუსეთის სფსრ	10	30	28	57	88
უკრაინის სსრ . . . } მოლდავეთის სსრ . }	4	9	7	33	50
ყაზახეთის სსრ	2	3	7	2	3
ბელორუსიის სსრ . .	1	2	3	8	13
უზბეკეთის სსრ	1	2	2	4	6

	რაოდენობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშებისა ფულადი პრემიებით				რაოდენობა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებისა კოლმეურნეობებისათვის ფულადი პრემიებით პრემიების სკალის მიხედვით
	პრემიით თვითეულ რესპუბლიკებისა დასთვლ ქებისათვის 25 ათასი მან.	რაიონებისათვის 10 ათასი მან. პრემიით თვითეულს	სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებისა, ცხენსაშენებისა, სანაშენოებისათვის მეფრინველეობის ფაბრიკებისათვის ექსპერიმენტული, სასწავლო-საცდელი და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფულადი პრემიით პრემიების სკალის მიხედვით	კოლმეურნეობებისათვის ფულადი პრემიით პრემიების სკალის მიხედვით	
საქართველოს სსრ . . სომხეთის სსრ . . . აზერბაიჯანის სსრ . .	1	3	3	9	16
ყირგიზეთის სსრ . . ტაჯიკეთის სსრ . . . თურქმენეთის სსრ . .	1	3	3	3	6
ესტონეთის სსრ . . ლატვიის სსრ . . . ლიტვის სსრ	1	3	3	10	16
სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსადმი უშუალოდ ექვემდებარებული მეურნეობებისა და საწარმოებისათვის	—	—	4	—	—
სულ . . .	21	55	60	126	198

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და
პროფესიულ კავშირთა სრულიად
საკავშირო ცენტრალური საბჭოს
1966 წლის 28 ივლისის № 616
დადგენილების დანართი № 2

რ ა ო დ ე ნ ო ბ ა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელი დროშებისა, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის მელიორაციის და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამ ზადებათა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ საწარმოთა და ორგანიზაციათ კოლექტივების წასახალისებლად, რომლებმაც სოფლის მეურნეობის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	რაოდენობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშებისა პირველი ფულადი პრემიებით
სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	9
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკა“	8
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტი . .	14

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და
პროფესიულ კავშირთა სრულიად
საკავშირო ცენტრალური საბჭოს
1966 წლის 28 ივლისის № 616
დადგენილების დანართი № 3

სკალა პრემიებისა

კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანება — „საკსოფლტექნიკის" სისტემების სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც სოფლის მეურნეობის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს

მომუშავეთა რაოდენობა საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ხოლო კოლმეურნეობებში—შრომისუნარიანთა რაოდენობა (კაცი)	პრემიების რაოდენობა (მანეთობ.)		
	პირველი პრემია	მეორე პრემია	მესამე პრემია
100-დან 150-მდე	800	600	400
151-დან 200-მდე	1400	1050	700
201-დან 250-მდე	1700	1300	850
251-დან 300-მდე	1900	1400	950
301-დან 400-მდე	2300	1700	1150
401-დან 500-მდე	2800	2100	1400
501-დან 750-მდე	4200	3150	2100
751-დან 1000-მდე	5600	4200	2800
1001-დან 1250-მდე	7000	5250	3500
1251-დან 1500-მდე	8400	6300	4200
1501-დან 1750-მდე	10000	7500	5000
1751-დან 2000-მდე	11200	8400	5600
2001-დან 2500-მდე	12600	9450	6300
2501-დან 3000-მდე	14000	10500	7000
3001-დან 4000-მდე	18200	13650	9100
4001-დან 5000-მდე	22500	16900	11250
5001-დან 7500-მდე	28100	21100	14050
7501-დან 10000-მდე	33700	25300	16850
10001-დან 12500-მდე	36500	27400	18250
12501-დან 15000-მდე	39500	29600	19750
15001-დან 20000-მდე	45000	33750	22500
20001-დან 25000-მდე	50000	37500	25000
25001-დან 30000-მდე	56200	42150	28100
30001-დან 40000-მდე	67500	50600	33750
40001-დან და ზევით	76500	57400	38250

შენიშვნები:

1. პრემიები იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, გაიცემა მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად პრემიის იმ თანხიდან, რაც დაწესებულია იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცს უდრის.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნებისას პრემიის ოდენობა კოლმეურნეობას, საწარმოს, ორგანიზაციას გაუდიდდება 50 პროცენტით, ხოლო სამინისტროს, უწყების და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისას — 25 პროცენტით სკალით გათვალისწინებული პირველი პრემიის თანხასთან შედარებით.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოებისათვის, რომლებშიაც შეჯიბრების შედეგები შეჯამდება ერთხელ წლის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით, პრემიების ოდენობა გადიდდება: როდესაც მათ მიენიჭებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა — 50 პროცენტით და როდესაც მიენიჭებათ სამინისტროს და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა — 25 პროცენტით სკალით გათვალისწინებული პირველი პრემიის გაორკეცებულ თანხასთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

109 „ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციის საქმეში საუკეთესო მიღწევებისათვის რესპუბლიკის საგაზო მეურნეობათა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 14 დეკემბრის № 716 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

იმის გამო, რომ იმ საგაზო მეურნეობათა ხასიათი და სპეციფიკა, რომლებიც ბუნებრივ და თხევად გაზზე მუშაობენ, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან და შეჯიბრების მაჩვენებლების შესრულების სწორად შეფასების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 14 დეკემბრის № 716 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით იმ კოლექტივებისათვის, რომლებმაც გაიმარჯვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს სისტემაში მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 23 დეკემბერი, № 690.

110 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის და საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წინადადება, რომ მოეწყოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაწესდეს პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების სამმართველოების, კანტორების, ბაზების, საწყობებისა და სხვა სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციების, აგრეთვე სამრეწველო საწარმოებისა და დამამზადებელი ორგანიზაციების იმ კოლექტივების წასახალისებლად, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვებენ, — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორი გარდამავალი წითელი დროშა ორი პირველი ფულადი პრემიით, სამი მეორე და ოთხი მესამე ფულადი პრემიები.

პრემიების გაცემა მოხდეს ზეგეგმითი მოგებიდან (გეგმიანი ზარალის შემცირება) იმ პრემიების III სკალის მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 11 აპრილის № 232 დადგენილებით.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს ერთი დეკადის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

4. დაეკისროთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს მთავარ სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების კვარტალობრივი შეჯამება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 22 დეკემბერი, № 702.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

111 1966 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲠᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

იმასთან დაკავშირებით, რომ თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები, 1966 წლის მოსავლიდან დაწყებული, დამტკიცდება მხოლოდ სტანდარტული პროდუქციისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოყენების იმ გეგმის ნაწილობრივ შესაცვლელად, რომელიც მიღებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 მარტის № 143 დადგენილებით, დამტკიცდეს 1966 წლის მოსავლის თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის გამოყენების გეგმა, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 4 ნოემბერი, № 622.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 4 ნოემბრის № 622
დადგენილების დანართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

1966 წლის მოსავლის თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის გამოყენებისა (ნაცვლად იმ გეგმისა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 მარტის № 143 დადგენილებით)

	სულ	თესლოვანი ნაყოფი		სულ	კურკოვანი ნაყოფი	
		მათ შორის მიაწოდებენ			მათ შორის მიაწოდებენ	
		საქმთავარკონსერვხილბოსტანი	საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო		საქმთავარკონსერვხილბოსტანი	საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო
რესურსები	61300	54966	6334	46700	45449	1251
გამოყენება — სულ	61300	54966	6334	46700	45449	1251
მათ შორის:						
მიწოდება საერთო საკავშირო ფონდში	32000	28500	3500	8000	8000	—
ადგილობრივი ვაჭრობისათვის . . .	7000	5500	1500	3000	2700	300
სამრეწველო გადამუშავებისათვის — სულ	22300	20966	1334	35700	34749	951
აქედან:						
საქმთავარკონსერვხილბოსტანი .	19000	17926	1074	32100	31149	951
ტრესტი „საქხილმინწყლები“ .	700	440	260	200	200	—
ცეკავშირი	2600	2600	—	3300	3300	—
საქტყეთესლი	—	—	—	100	100	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ამის გარდა, არასტანდარტული თესლოვანი ნაყოფის შესყიდული პროდუქცია გაიცემა (ტონობით):

	სულ	მათ შორის მიაწოდებენ:	
		საქმთავარკონსერვხილბოსტანი	საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო
გამოყენება — სულ . . .	22000	19060	2940
მათ შორის:			
საქმთავარკონსერვხილბოსტანი (გადასამუშავებლად)	19600	16660	2940
ექსპორტი (გადასამუშავებლად) . . .	2400	2400	—

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაძაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

112 მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის საკითხები

დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 ივლისის № 413 დადგენილებისა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებულ ადგილობრივი, რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს განაცხადები მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობისათვის მიწების გამოყოფის შესახებ შეაქვთ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში, ხოლო საკავშირო დაქვემდებარების წარმოება-დაწესებულებებს — უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

— რესპუბლიკის დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს განაცხადები შეაქვთ შესაბამის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ ან საქალაქო საბჭოს აღმასკომებში;

—რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროები და უწყებები განიხილავენ მათი დაქვემდებარების თბილისის წარმოება-დაწესებულებებიდან შემოსულ განაცხადებს და აღძრავენ შუამდგომლობას მიწების გამოყოფაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე, წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციების სახელწოდების, მოთხოვნილი მიწის ფართობების ოდენობისა და იმ რაიონების ჩვენებით, სადაც მოთხოვნილია მიწების გამოყოფა, ხოლო რესპუბლიკის სხვა საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომები განიხილავენ განაცხადებს სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოების დასკვნების გათვალისწინებით და თავიანთ გადაწყვეტილებებს მიწების გამოყოფის შესახებ წარუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საქალაქო და რაიონული აღმასკომები — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებსა და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს.

კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად მიწების გამოყოფის საკითხების შემდგომი განხილვა-გადაწყვეტა უნდა წარმოებდეს თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 აპრილის № 230 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა „სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ“.

2. დაწესდეს კოლექტიური მებაღეობისათვის მიწის ნაკვეთის ნორმა 600 კვ. მეტრამდე ერთ ოჯახზე.

3. დაევალოს შესაბამის რაიაღმასკომებსა და სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს დააწესონ სისტემატური კონტროლი კოლექტიური მებაღეობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების სწორად გამოყენებისა, მათზე ნაგებობათა მშენებლობისა და მუშა-მოსამსახურეთა ამხანაგური მებაღეობის წესდების დაცვისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაწესდეს, რომ:

ა) კოლექტიური ბაღის ტერიტორიის ათვისება შეიძლება დაწყებულ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ორგანიზაციის პროექტი წინასწარ იქნება შეთანხმებული არქიტექტურისა და მშენებლობის, სანიტარული და სახანძრო დაცვის ორგანოებთან და დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი ან საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

ბ) პასუხისმგებლობა კოლექტიური ბაღის ტერიტორიის ორგანიზაციის ნატურაში სწორად განხორციელებისათვის ეკისრებათ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციას და პროფკავშირთა საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებს.

5. ნება დაერთოს მებაღეობის ამხანაგობებს კოლექტიური ბაღის ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტის შესაბამისად ააშენონ დამტკიცებული პროექტების მიხედვით პანსიონატები, ხილის შესანახი და საერთო სარგებლობის სხვა შენობა-ნაგებობანი, ხოლო ამხანაგობის წევრებს — საზაფხულო ტიპის საბაღე სახლების აგება 12-დან 25 კვ. მეტრამდე ფართობით, არა უმეტეს 10 კვ. მეტრი ფართობის აივნებით ერთ ოჯახზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს უზრუნველყოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსოფლმშენსახპროექტის“ მეშვეობით 1967 წლის 1-ლ აპრილამდე საზაფხულო ტიპის სახლების პროექტის შემუშავება.

პროექტების დამუშავებისას გაითვალისწინოს ადგილობრივი საშენი მასალის მაქსიმალური გამოყენება, აგრეთვე ამ სახლების ასაწყობი ელემენტების სამრეწველო დამზადების შესაძლებლობა.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგო კომიტეტს, დაწყებული 1967 წლიდან, გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებით რესპუბლიკის საწარმოებში საზაფხულო ტიპის ასაწყობი საბაღე სახლების წარმოება მებაღეობის ამხანაგობათა წევრებისათვის და მებაღეობის ამხანაგობებისათვის მისაყიდად.

8. რჩევა მიეცეთ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ძირითადი საქმიანობისადმი ზიანის მიუყენებლივ, აღმოუჩინონ მებაღეობის ამხანაგობებს დახმარება ბაღის გაშენებასა და მათი ტერიტორიის კეთილმოწყობაში, სათანადო ღირებულების გადახდევინებით ამხანაგობის გამგეობასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაუწიოს მებაღეობის ამხანაგობებს აგრონომიული დახმარება ბაღების გაშენებისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. მოაწყოს აგრეთვე ხეხილის სანერგე მეურნეობებში ხილ-კენკრისა და ვაზის სარგავი მასალის გამოყვანა მებაღეობის ამხანაგობებისათვის მისაყიდად.

10. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, „საქსოფლტექნიკას“ და ცეკავშირის გამგეობას უზრუნველყონ ასაწყობი საბაღე სახლებისა და მათი დეტალების, საშენი მასალის, სამეურნეო ინვენტარისა და საბაღე იარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების, აგრეთვე სასუქებისა და შხამქიმიკატების მიყიდვა მებაღეობის ხელმძღვანელობისა და მებაღეებისათვის.

11. ნება დაერთოს სავაჭრო ორგანიზაციებს მიჰყიდონ კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობათა წევრებს საბაღე სახლები და მათი დეტალები ნისიად, დადგენილი საერთო წესის შესაბამისად.

12. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ (ამხ. გ. ქადაგიძემ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 19 თებერვლის № 278 განკარგულების შესაბამისად დააწესოს საგარეუბნო მატარებელთა შეღავათიანი თვიური აბონემენტებისა და სეზონური ბილეთების მიყიდვა მუშა-მოსამსახურეებისა, პენსიონერებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის თავიანთი ბაღების ტერიტორიამდე მგზავრობისათვის 15 თებერვლიდან 1 ნოემბრამდე პერიოდში.

13. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიულ კომისიას ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადება საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 12 ნოემბერი, № 630.

113 საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 სექტემბრის № 795 დადგენილება „საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების მქონე სამინისტროებსა და უწყებებს.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და საავტომობილო ტრანსპორტის იმ საწარმოების მქონე სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც ცდის სახით გადაყვანილი არიან 1965—1966 წლებში სრულ თვითანაზღაურებაზე, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა გადაყვანილ იქნან ისინი 1967 წლის 1 იანვრიდან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საწარმოების სია და დასახული ღონისძიებანი მათი გადაყვანისა ახალ სისტემაზე, წარუდგინონ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე საწარმოების გადაყვანის საუწყებათაშორისო კომისიას, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და ტრანსპორტის მქონე სამინისტროებმა და უწყებებმა იმ დროიდან ერთი თვის ვადაში, რაც მიღებული იქნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 სექტემბრის № 795 დადგენილების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მეთოდური მითითებანი, შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიას წარუდგინონ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმები. იმავდროულად წარუდგინონ იმ საწარმოების ეკონომიური მაჩვენებლები, რომლებიც გადაყვანილი იქნებიან ახალ სისტემაზე 1967 წელს.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ამ დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიას პროექტები:

ა) მატერიალური წახალისების ფონდში და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში მოგების ანარიცხების დროებითი ნორმატივებისა;

ბ) წარმოების განვითარების ფონდში მოგების ანარიცხების დროებითი ნორმატივებისა;

გ) საწარმოო ძირითადი ფონდების და საბრუნავი სახსრებისათვის საფასურის ნორმებისა.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა საუწყებათაშორისო კომისიამ დროზე შეათანხმოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან დროებითი ნორმატივები მოგების ანარიცხებისა მატერიალური წახალისების ფონდში, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში, აგრეთვე ნორმატივები მოგების ანარიცხებისა წარმოების განვითარების ფონდში და საწარმოო ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრებისათვის საფასურის ნორმები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 17 ნოემბერი, № 633.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 795

1966 წლის 30 სექტემბერი

მოსკოვი, კრემლი

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ, 1966 წლის IV კვარტალიდან დაწყებული, საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილებისა „სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“ და საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების მუშაობის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებში, რომლებიც ცდის სახით გადაყვანილია 1965—1966 წლებში სრულ ანაზღაურებაზე, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების აღნიშნული სისტემა შემოღებულ იქნას 1967 წლის 1 იანვრიდან.

2. დაწესდეს, რომ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე წარმოებს:

ა) რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებებით;

ბ) სსრ კავშირის საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებათა სისტემის საწარმოებისა — სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებათა გადაწყვეტილებებით.

3. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო [illegible] და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად, ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ მეთოდური მითითებანი საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ, ამასთან დააწესონ ამ საწარმოებში დასამტკიცებელი გეგმური მაჩვენებლების ნუსხა საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების მუშაობის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასაყვანი საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისათვის:

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით — დროებითი ნორმატივები მოგების ანარიცხებისა მატერიალური წახალისების ფონდში და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში;

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით — დროებითი ნორმატივები მოგებათა ანარიცხებისა წარმოების განვითარების ფონდში;

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით — ნორმები საფასურისა საწარმოო ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრებისათვის.

დაწესდეს, რომ აღნიშნული ნორმატივებისა და საფასურის ნორმების დიფერენციაციას საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა ჯგუფების მიხედვით მოახდენენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფებიან ეს საწარმოები, პროფკავშირთა შესაბამის ცენტრალურ კომიტეტებთან შეთანხმებით.

4. უფლება მიენიჭოთ საავტომობილო ტრანსპორტის იმ საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომლებიც გადაყვანილი იქნებიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე:

ა) მატერიალურად წაახალისონ მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯზე სამომსახურეო საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები, რომლებიც უზრუნველყოფენ საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების გაუმჯობესებას;

ბ) აძლიონ შეღავათები ტვირთზიდვის დაწესებული ტარიფებისაგან, აგრეთვე გადაახდევინონ საფასური დამატებითი მომსახურებისა და ტვირთზიდვის განსაკუთრებული პირობებისათვის იმ ოდენობით, რაც დაწესდება მხარეთა შეთანხმებით.

5. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და სსრ კავშირის სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგეგმო კომიტეტს წარუდგინონ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმები.

6. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების მუშაობის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით, დაევალოთ:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებათა მონაწილეობით შეიმუშაონ და დაამტკიცონ:

ა) პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად — ტიპობრივი დებულება საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ;

ბ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად — დროებითი დებულებანი საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებში მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნის შესახებ;

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებათა მონაწილეობით გამოსცეს:

ა) ინსტრუქცია საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა მოგების თავისუფალი ნაშთის ბიუჯეტში გადარიცხვის წესის შესახებ;

ბ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან ერთად — ინსტრუქცია საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებში წარმოების განვითარების ფონდის შექმნისა და მისი სახსრების გამოყენების წესის შესახებ და დებულება საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების მოგების განაწილების წესის შესახებ;

გ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად — ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იქნას გადახდევინებული ბიუჯეტში საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისაგან საფასური საწარმოო ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრებისათვის.

7. მიღებულ იქნას მოსკოვის საქალაქო აღმასკომის წინადადება იმის შესახებ, რომ დამატებით იქნას გადაყვანილი, როგორც გამონაკლისი, 1966 წლის მეორე ნახევარში ვადით 1967 წლის 1 იანვრამდე „გლავმოსავტოტრანსის“ საავტომობილო ტრანსპორტის 21 საწარმო, დანართის თანახმად, სრულ თვითანაზღაურებაზე იმ წესითა და იმ პირობებში, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 23 დეკემბრის № 1108 დადგენილებით.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1967 წლის 1 იანვრიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 აპრილის № 268. 1965 წლის 18 ოქტომბრის № 775, 1965 წლის 23 დეკემბრის № 1107, 1965 წლის 23 დეკემბრის № 1108 და 1966 წლის 9 აპრილის № 259 დადგენილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. შეუნარჩუნდეთ საავტომობილო ტრანსპორტის იმ საწარმოებს, ორგანიზაციებს, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 აპრილის № 268 დადგენილების შესაბამისად გადაყვანილი არიან სრულ თვითანაზღაურებაზე, იმ თანამდებობრივი განაკვეთების ოდენობა, რაც მათ დაუწესდათ აღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ საწარმოებში მათი მუშაობის დროისათვის, თუ ეს თანამდებობრივი განაკვეთები, რასაც ისინი ფაქტიურად ღებულობენ, აღემატება თანამდებობრივი განაკვეთების მოქმედი სქემით გათვალისწინებულ განაკვეთებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. პოლიანსკი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

114 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივნისის № 410 დადგენილების № 1 დანართის მე-7 პუნქტის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივნისის № 410 დადგენილების № 1 დანართის მე-7 პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. გადაანაწილონ ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შეუცვლელად კაპიტალური დაბანდებანი წლის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს 45 დღისა შესაბამისი კვარტალის დამთავრებამდე, მშენებლობებსა და ობიექტებს შორის, რომელთა სატიტულო სიებს ამტკიცებენ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 17 ნოემბერი, № 634.

115 საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე აშენებულ საცხოვრებელ ფართობში ჩასახლების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 ოქტომბრის № 842 დადგენილება „საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე აშენებულ საცხოვრებელ ფართობში ჩასახლების წესის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 ოქტომბრის № 842 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 22 ივნისის № 391 დადგენილების I პუნქტს დაემატოს სიტყვები: „არ უნდა გამოეყოს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საცხოვრებელი ფართობი, რომელიც აშენებულია იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე, რომლებზედაც ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 ოქტომბრის № 842 დადგენილების თანახმად, საცხოვრებელ ფართობში, რომელიც აშენებულია იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე, რომლებზედაც ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ, არ უნდა იქნას ჩასახლებული საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 თებერვლის № 100 დადგენილების 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 თებერვლის № 105 დადგენილების მე-2 პუნქტს „იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქნან საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და რომ შემკვეთებმა გადასცენ საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი“, დაემატოს აბზაცი შემდეგი შინაარსისა: „არ უნდა გადაეცეს საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს საცხოვრებელი ფართობი, რომელიც აშენებულია იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე, რომლებზედაც ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 17 ნოემბერი, № 635.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 842

1966 წლის 26 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე აშენებულ საცხოვრებელ ფართობში ჩასახლების წესის შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილებისა „სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“ და სოციალისტური სახელწიფო საწარმოს შესახებ დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით (სსრკ დადგ. კრ. 1965 წ. № 19-20, მუხ. 153, 155), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ მთელი საცხოვრებელი ფართობი საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებზედაც ვრცელდება დებულება სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოს შესახებ, აშენებული ზეგეგმითი მოგებისა და ზეგეგმითი ეკონომიის იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გამოყენებულია დამატებით საწარმოს (ორგანიზაციის) ფონდში გადარიცხულ თანხებს ზევით, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების იმ სხვა სახსრების ხარჯზე, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება მოხმარდეს საბინაო მშენებლობას, — ჩასახლებულ უნდა იქნას იმ წესით, რაც დადგენილია საწარმოს (ორგანიზაციის) ფონდის სახსრების ხარჯზე აშენებული საცხოვრებელი ფართობისათვის.

2. როდესაც საცხოვრებელი ფართობი შენდება იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე, რომლებზედაც ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ:

ა) მიწის ნაკვეთები სახლების ასაშენებლად გამოიყოფა ისეთ ტერიტორიებზე, რომლებიც, როგორც წესი, განკუთვნილია მასობრივი საბინაო მშენებლობისათვის და მდებარეობენ შესაბამისი საწარმოს (ორგანიზაციის) რაც შეიძლება უფრო ახლოს, უპირატესად შენობათა და ნაგებობათა აუღებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სადგომები ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა საწარმოებისათვის საწარმოთა და ორგანიზაციათა სახლებში შენდება საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაციის და პროფესიული კავშირის საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის თანხმობით.

3. შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში:

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12 მაისის № 885 დადგენილებას „ქ. მოსკოვში საცხოვრებელი ფართობის განაწილების წესის შესახებ", დაემატოს პუნქტი 6 შემდეგი შინაარსისა:

„6. ამ დადგენილების 1 პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები და მე-4 პუნქტი არ უნდა იქნას გამოყენებული იმ საცხოვრებელი ფართობის მიმართ, რომელიც აშენებულია იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე, რომლებზედაც ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ";

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 იანვრის № 171 განკარგულებას დაემატოს აბზაცი შემდეგი შინაარსისა: „არ უნდა გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს საცხოვრებელი ფართობი, რომელიც აშენებულია იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე, რომლებზედაც ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ";

გ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 10 მაისის № 375 დადგენილების მე-2 პუნქტის მეორე აბზაცს დაემატოს სიტყვები: „არ უნდა გამოეყოს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საცხოვრებელი ფართობი, რომელიც აშენებულია იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე, რომლებზედაც ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ".

4. საცხოვრებელ ფართობში, რომელიც აშენებულია იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე, რომლებზედაც ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ არ უნდა იქნას ჩასახლებული შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 იანვრის № 74 დადგენილების მე-2 პუნქტისა (სსრკ დადგ. კრ. 1960 წ. № 3. მუხ. 15).

5. შეტანილ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში პროექტი ბრძანებულებისა „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 56 მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ".

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

116 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 სექტემბრის № 781 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 სექტემბრის № 781 დადგენილებისა „იმის შესახებ, რომ ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი „საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 იანვრის № 57 დადგენილებასთან დაკავშირებით“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 22 ოქტომბრის № 1411 დადგენილება „რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიღების და მათი ნაკრები ხარჯთაღრიცხვებისა და ნაკრები სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებების დახურვის წესის შესახებ“;

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 28 ნოემბრის № 802 დადგენილება „აშენებული საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიღების წესის თაობაზე“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების მიღებას საექსპლუატაციოდ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 1 დეკემბერი. № 651.

117 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 სექტემბრის № 756 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 სექტემბრის № 756 დადგენილებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის № 38 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „საქართველოს სს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისტემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 7 ივნისის № 369 დადგენილების 1 პუნქტის ქვეპუნქტები „ა“, „დ“, „ვ“, პუნქტები 2, 4, 7 და მე-8 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“, აგრეთვე 1 პუნქტის ქვეპუნქტები „ბ“, „ე“ და „ზ“, პუნქტები 5, 6 და მე-8 პუნქტის ქვეპუნქტი „ა“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს.

2. „საქართველოს სს რესპუბლიკაში სავეტერინარო საქმის გაუმჯობესებისა და ვეტერინარული კონტროლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 8 თებერვლის № 56 დადგენილების 18 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 1 დეკემბერი, № 652.

118 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ტექნიკური სასწავლებლების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი დებულებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ტექნიკური სასწავლებლების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 8 დეკემბერი, № 667.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 8 დეკემბრის № 667
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ტექნიკური სასწავლებლების შესახებ

I. ტექნიკური სასწავლებლების ამოცანები

1. ტექნიკური სასწავლებლები წარმოადგენენ სახელმწიფო სასწავლებლებს და შეიქმნებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 2 თებერვლის № 83 დადგენილების შესაბამისად იმ ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური სწავლების მიზნით, რომელიც წარმოებაში მიდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ და რომელსაც საშუალო სკოლაში არ მიუღია პროფესიული მომზადება.

ტექნიკური სასწავლებლების ძირითადი ამოცანაა ორგანიზებულად მოამზადოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა რიცხვიდან დიდად შეგნებული, ცოდნის თანამედროვე დონეს და მაღალ პროფესიულ ოსტატობას დაუფლებული, კომუნისტური პარტიის და სოციალისტური სამშობლოს უაღრესად ერთგული მაღალკვალიფიციური მუშები, აღზარდოს ახალგაზრდობა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით, ჩაუნერგოს მას შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

ტექნიკური სასწავლებლები ამზადებენ სპეციალისტებს სახალხო მეურნეობის დარგებისათვის და ახორციელებენ სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას საწარმოებთან, მშენებლობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან მჭიდრო კავშირში, ამასთან მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საწარმოო შრომაში.

II. ტექნიკური სასწავლებლების ორგანიზაცია

2. ტექნიკური სასწავლებლების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია წარმოებს კვალიფიციური კადრების მომზადების სახელმწიფო გეგმების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით და სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით. ტექნიკური სასწავლებლები იმყოფებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობაში.

3. ყოველ ტექნიკურ სასწავლებელს აქვს წესდება, შემუშავებული ამ დებულების საფუძველზე და დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ (რომლის გამგებლობაშიც იგი იმყოფება).

4. მუშათა კადრების მაღალხარისხოვნად მომზადების უზრუნველსაყოფად ტექნიკურ სასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები, პოლიგონები, სასწავლო ბაღები, თანამედროვე მოწყობილობით, ინსტრუმენტებითა და ხელსაწყოებით აღჭურვილი, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ მოსწავლეები დაეუფლონ პროფესიულ ცოდნასა და ჩვევებს;

ბ) სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები, აუდიტორიები და საპრეპარატოები, აღჭურვილი სათანადო სასწავლო მოწყობილობით, ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინო დამხმარე ხელსაწყოებით, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ ჩატარდეს სასწავლო მეცადინეობა ტექნოლოგიურ, ზოგადტექნიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საგნებში და უსაფრთხობის ტექნიკის დარგში;

გ) ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი;

დ) სადგომები და ღია მოედნები სათანადო მოწყობილობითა და ინვენტარით კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის;

ე) სამედიცინო პუნქტი, სასადილო ან ბუფეტი, ხოლო საჭირო შემთხვევებში — საერთო საცხოვრებელი და სხვა საყოფაცხოვრებო სადგომები.

სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების, პოლიგონების, სასწავლო გარაჟების, სასწავლო კაბინეტების, ლაბორატორიების გაწყობა ხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ნორმატივების შესაბამისად.

ტექნიკურ სასწავლებლებს, რომლებიც სპეციალისტებს ამზადებენ სოფლის მეურნეობისათვის, ამის გარდა, უნდა ჰქონდეთ სასწავლო მეურნეობები მიწის ფართობებით, სასწავლო-საწარმოო და საბინაო-საყოფაცხოვრებო შენობებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და პროდუქტიული პირუტყვის სულადობით, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ მოსწავლეები დაეუფლონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სხვადასხვა სამუშაოთა შესრულების პროფესიულ ჩვევებს. სასწავლო მეურნეობათა მიწის ფართობების გამოყოფა წარმოებს იმ წესით, რაც დადგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი იძლევა რეკომენდაციებს სასწავლო მეურნეობათა მიწის ფართობების ოდენობის შესახებ, რაც საჭიროა ნორმალური სასწავლო პროცესის განსახორციელებლად.

5. ტექნიკურ სასწავლებლებში კვალიფიციურ მუშათა მოსამზადებლად საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა რიცხვიდან ისეთი პროფესიების მიხედვით, რომლებიც გადიდებულ ზოგადსაგანმანათლებლო დონეს მოითხოვენ, სწავლების ვადა დაწესდება ერთ წლამდე.

ცალკეული რთული პროფესიებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი დააწესებს კვალიფიციურ მუშათა მომზადების უფრო ხანგრძლივ ვადებს.

ტექნიკურ სასწავლებლებში კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად პროფესიების ნუსხას განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითეული ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა კონტინგენტები პროფესიების მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, სახალხო-სამეურნეო გეგმის, რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნილებისა და სხვა ოლქებისა, მხარეებისა, რესპუბლიკებისათვის კადრების მომზადების დავალებათა შესაბამისად.

6. საწარმოო და თეორიული სწავლების გასავლელად მოსწავლეები გაერთიანდებიან სასწავლო ჯგუფებად პროფესიების მიხედვით.

სასწავლო ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 25-30 კაცით.

საწარმოო სწავლებას იმ პროფესიების მიხედვით, რომლებიც დაკავშირებულია რთული მოწყობილობის, რთული სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების მომსახურებასთან, საშიში ან განსაკუთრებით რთული სამუშაოების შესრულებასთან, დადგენილი წესით დამტკიცებული ნუსხების მიხედვით, მოსწავლეები გადიან ჯგუფებად 12-15 კაცის შემადგენლობით.

7. სასწავლო-საწარმოო მუშაობას ტექნიკური სასწავლებლები ატარებენ ერთი ან რამდენიმე ახლომდებარე საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციების საწარმოო ბაზაზე, რომელიც შეესაბამება კვალიფიციური კადრების მომზადების სათანადო პროფილს.

სასწავლებლების მიმაგრებას საწარმოებსა და ორგანიზაციებზე ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

8. საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, სამშენებლო, სატრანსპორტო, და სხვა ორგანიზაციები, რომელთა ბაზაზე მოქმედებენ ტექნიკური სასწავლებლები, ჰქმნიან პირობებს, რაც საჭიროა სასწავლო პროცესის წარმატებით ჩასატარებლად და იმისათვის, რომ მოსწავლეები დაეუფლონ ახალ ტექნიკას, მოწინავე ტექნოლოგიას და შრომის მაღალმწარმოებლურ მეთოდებს.

აღნიშნული საწარმოები და ორგანიზაციები უსასყიდლოდ გამოუყოფენ სასწავლებლებს მათთვის საჭირო მოწყობილობას, მანქანებს, ხელსაწყოებს, მექანიზმებს როგორც სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, ისე იმისათვისაც, რომ შესრულდეს საწარმოო სწავლების პროცესში საწარმოთა და ორგანიზაციათა შეკვეთები იმ მოწყობილობის დამატებით, რასაც სასწავლებლები იღებენ მომარაგების გეგმებით; გამოუყოფენ სასწავლო უბნებს საწარმოში; მისცემენ სასწავლებლებს საწარმოო შეკვეთებს, რათა შესრულდეს ისინი მოსწავლეთა საწარმოო სწავლების დროს სახელოსნოებში და სასწავლო უბნებზე; მისცემენ ამ შეკვეთების შესასრულებლად მასალებს, ინსტრუმენტებს და ტექნიკურ დოკუმენტაციას, აგრეთვე ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ შეკვეთების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულებაში; ჩაატარებენ მათზე მიმაგრებული სასწავლებლების შეფობების საჭირო რემონტს, ამასთან იმ სადგომების რემონტი, რომლებიც აღნიშნული საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსზე იმყოფებიან, შესრულდება მათ ხარჯზე.

ტექნიკურ სასწავლებლებს, რომლებიც კვალიფიციურ კადრებს ამზადებენ სოფლის მეურნეობის სპეციალობათა მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, მოწყობილობით და ინვენტარით მოამარაგებს, მოძველებულ სასოფლო-სამეურნეო, სამელიორაციო ტექნიკას და სხვადასხვა მოწყობილობას გამოუცვლის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი როგორც საბიუჯეტო ასიგნობების კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, აგრეთვე შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მიერ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დამატებით, უსასყიდლოდ გამოყოფის ხარჯზე.

ახალმშენებარე ტექნიკური სასწავლებლები უზრუნველყოფილი იქნებიან მოწყობილობით იმ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რომლებსაც გამოყოფენ საქართველოს სსრ სამინისტროები, უწყებები და მინისტრთა საბჭო ამ სასწავლებლების მშენებლობისა და გაფართოებისათვის.

9. ტექნიკური სასწავლებლების მიერ საწარმოო დავალებათა და შეკვეთების შესრულება როგორც სასწავლო სახელოსნოში, ისე წარმოებაში, ექვემდებარება ახალგაზრდობის პროფესიული სწავლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების ამოცანას. სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, მოსწავლეთა საწარმოო სწავლების პროცესში ტექნიკური სასწავლებლები ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის დავალებებს, საბაზო და სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა შეკვეთებს იმ აუცილებელი პირობით, რომ სამუშაოთა შინაარსი შეესაბამებოდეს სასწავლო პროგრამების მოთხოვნებს.

ტექნიკური სასწავლებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მზრუნველობითს დამოკიდებულებას საწარმოო მოწყობილობისა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა, ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოებისადმი, მასალების, ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვას, მოსწავლეთა მიერ საწარმოო სამუშაოების ხარისხიანად და დროულად შესრულებას, აგრეთვე უსაფრთხობის ტექნიკის წესებისა და შინაგანაწესის დაცვას.

საწარმოო პრაქტიკის დროს მოსწავლეთა სამუშაო დღე დაწესდება შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ტექნიკურ სასწავლებლებში საჭირო თეორიული და პრაქტიკული მომზადების შემდეგ მოსწავლეები გაიგზავნებიან, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად, საწარმოო პრაქტიკაზე, როგორც წესი, იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებისთვისაც წარმოებს კვალიფიციური კადრების მომზადება.

11. მოსწავლეთა მიერ საწარმოო პრაქტიკის გასავლელად საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციები გამოუყოფენ სასწავლებლებს საჭირო რაოდენობის ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიან სამუშაო ადგილებს და უზრუნველყოფენ მოსწავლეებს ისეთი სამუშაოთი, რომელიც შეესაბამება სასწავლო პროგრამების მოთხოვნებს, შექმნიან წარმოებაში მოსწავლეთა მუშაობისათვის უსაშიშრო პირობებს, დადგენილი წესით აანაზღაურებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ სამუშაოებს საწარმოებში მოქმედი ფასდების კვალობაზე ან მუშათა დროებრივი განაკვეთების მიხედვით მოქმედი რაიონული კოეფიციენტების (დანამატების) და შრომის ანაზღაურების წახალისებითი სისტემების გათვალისწინებით; მისცემენ მოსწავლეებს საწარმოო პრაქტიკის პერიოდში საწარმოთა და ორგანიზაციათა ხარჯზე სპეცტანსაცმელს, სპეცფეხსაცმელს, დაცვის ინდივიდუალურ საშუალებებს, უზრუნველყოფენ მათ სპეციალური და სამკურნალო-პროფილაქტიკური კვებით შესაბამისი პროფესიების მუშებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით და საჭირო შემთხვევებში უზრუნველყოფენ თავიანთ ხარჯზე ან თავიანთი სატრანსპორტო საშუალებებით მოსწავლეთა მიყვანას საწარმოო პრაქტიკის ადგილზე იქით და აქეთ, ან უზრუნველყოფენ მოსწავლეებისათვის საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს საწარმოო პრაქტიკის გავლის ადგილზე. საწარმოო სწავლების ოსტატთა პრაქტიკის ადგილზე მისვლა-მოსვლის მგზავრობის საფასურის ანაზღაურება, აგრეთვე მათთვის კომპენსაციის მიცემა დღიურების ნაცვლად წარმოებს სასწავლებლის ხარჯზე.

12. მოსწავლეებს, რომლებმაც სწავლების კურსი დაამთავრეს ტექნიკურ სასწავლებლებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი გაგზავნის სამუშაოზე სპეციალობის მიხედვით, სახალხო-სამეურნეო გეგმისა და კვალიფიციური კადრების მომზადების დავალებათა შესაბამისად.

მოსწავლეები, რომლებიც კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიავლინეს სასწავლებლად ტექნიკურ სასწავლებელში, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, გაიგზავნებიან მუდმივ სამუშაოდ ამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა მუშების განაწილება საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ხორციელდება მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკამდე.

საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციები მოვალენი არიან აძლიონ ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს სამუშაო მათ მიერ მიღებული პროფესიის და მიკუთვნებული კვალიფიკაციის შესაბამისად, ხელი შეუწყონ მათი კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებას, შეუქმნან ახალგაზრდა მუშებს საჭირო-საყოფაცხოვრებო პირობები.

III. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს ტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელობას იმ საერთო დებულებათა საფუძველზე, რომლებსაც შეიმუშავებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. მოსწავლეთა სწავლება ტექნიკურ სასწავლებლებში ხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით.

15. მომავალი ახალგაზრდა მუშების პროფესიული მომზადების საფუძველს წარმოადგენს საწარმოო სწავლება. იგი ხორციელდება მაშინაც, როდესაც მოსწავლეები ასრულებენ სასწავლო-საწარმოო სამუშაოებს სასწავლო სახელოსნოებში, პოლიგონებზე, სასწავლო მეურნეობებში და ა. შ., აგრეთვე მაშინაც, როდესაც ისინი გადიან საწარმოო პრაქტიკას საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებში.

საწარმოო სწავლების პროცესში მოსწავლეები ეუფლებიან პროფესიულ ცოდნასა და ჩვევებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ მაღალი ხარისხით და უსაშიშრად შესრულდეს სამუშაოები სპეციალობის მიხედვით; სწავლობენ მაღალმწარმოებლურ შრომას, იყენებენ თანამედროვე ტექნიკას და შრომის მოწინავე მეთოდებს; ეუფლებიან შეგნებულ საწარმოო დისციპლინას, შრომის მაღალ კულტურას, უღვივდებათ მისწრაფება ნოვატორობისაკენ და იძენენ მოწინავე საბჭოთა მუშის სხვა თვისებებს.

16. ტექნიკურ სასწავლებლებში თეორიული სწავლება იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებმა შეისწავლონ სპეციალური ტექნოლოგიური, ზოგადტექნიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საგნები და ეკონომიური ცოდნის საფუძვლები, რაც საჭიროა შესასწავლი პროფესიის ღრმად, ყოველმხრივ და შეგნებულად დაუფლებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური განვითარებისათვის.

17. საწარმოო, თეორიული სწავლების და კლასგარეშე მუშაობის პროცესში სასწავლებლის ინჟინერ-პედაგოგთა კოლექტივი კომკავშირულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდას: უნერგავს ახალგაზრდობას მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, კომუნისტურ მორალს.

18. ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ფიზიკური მომზადება ხორციელდება როგორც ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე, ისე კლასგარეშე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გზითაც, მოსწავლეთა სწორად ორგანიზებული შრომისა და დასვენების დროს და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „შრომითი რეზერვების“ მუშაობაში მათი აქტიური მონაწილეობის პროცესში.

19. საწარმოო და თეორიულ სწავლებაში მეცადინეობა ტარდება ცხრილის თანახმად, საწარმოო სწავლების ოსტატის და მასწავლებლის ხელმძღვანელობით. მეცადინეობაზე ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული სასწავლო მუშაობის საერთო-ჯგუფური, ბრიგადული, რგოლური და ინდივიდუალური ორგანიზაცია და მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობის აქტივიზაციის სხვადასხვაგვარი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული ჩვევებისა და ცოდნის შეგნებულად და მტკიცედ შეთვისებას, მიღებული ცოდნის წარმოებაში გამოყენების უნარს. სასწავლო მასალის გადაცემისას ფართოდ უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იყოს გამოყენებული თვალსაჩინო ხელსაწყოები, კინო, ტელევიზია და სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი.

ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა აკადემიური წარმატება შეფასდება ციფრობრივი ხუთბალიანი სისტემით. ცოდნისა და ჩვევების შემოწმება ხორციელდება მიმდინარე, პერიოდული და ჯამობრივი აღრიცხვის სხვადასხვა ფორმებით.

20. ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლება დამთავრდება საკვალიფიკაციო გამოცდებით.

ამ გამოცდების ჩასატარებლად სასწავლებლებში შეიქმნება საკვალიფიკაციო კომისიები; ამ კომისიებში შედიან იმ საბაზო საწარმოს ადმინისტრაციის, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლისთვისაც სასწავლებელი აშზადებს მუშათა კადრებს, და სასწავლებლის პედაგოგიური მუშაკები (შესაბამის სპეციალობათა მიხედვით). საჭირო შემთხვევებში კომისიის შემადგენლობაში შეყვანილი იქნებიან აგრეთვე სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის, ავტოინსპექციისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. საკვალიფიკაციო კომისიების პერსონალურ შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში იმყოფება სასწავლებელი.

21. ტექნიკურ სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რომლებმაც საკვალიფიკაციო გამოცდები ჩააბარეს, მიეკუთვნებათ საწარმოო კვალიფიკაცია და მიეცემათ დაწესებული ნიმუშის ატესტატი.

ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რომლებსაც აქვთ შეფასება „5“ საწარმოო სწავლებაში და საწარმოო გეგმის სხვა საგნებში — არა ნაკლებ 75 პროცენტისა, ხოლო დანარჩენ საგნებში შეფასება არანაკლებ „4“-სა და წარჩინებული ყოფაქცევა, რომლებმაც ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდა შეფასებით „5“, მიეცემათ წარჩინებითი ატესტატი და ქების სიგელი.

მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს ტექნიკური სასწავლებელი წარჩინებით, აქვთ დამთავრებული საშუალო განათლება, მუშაობენ ტექნიკურ სასწავლებელში მიღებული სპეციალობის მიხედვით და შედიან უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სასწავლებლად მონათესავე სპეციალობაზე, თუ ისინი დადებითს შეფასებას მიიღებენ შესასვლელ გამოცდებზე, ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში უკონკურსოდ.

IV. მოსწავლეები

22. ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ აკმაყოფილებენ არჩეული პროფესიის მიხედვით სასწავლებლად მიღების პირობებს და შრომის კანონმდებლობით დაწესებულ მოთხოვნებს.

ტექნიკურ სასწავლებლებში მიღების წესებს დაადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლა უფასოა.

აკადემიური წარმატების მქონე მოსწავლეებს დადგენილი წესით მიეცემათ სტიპენდია, ამასთან იმ მოსწავლეებს, რომლებსაც წარჩინებული შეფასება აქვთ, სტიპენდიის ოდენობა გაუდიდდებათ 25 პროცენტით.

სხვაქალაქელ მოსწავლეებს საჭირო შემთხვევებში უფასოდ დაეთმობათ ადგილი საერთო საცხოვრებელში.

მოსწავლეთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ მომსახურებას ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები.

24. ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები მოვალენი არიან ბეჯითად ისწავლონ, შეუპოვრად დაეუფლონ პროფესიას, იყვნენ დისციპლინირებული, მტკიცედ დაიცვან ყოფაქცევის დადგენილი წესები სასწავლებლებში, საწარმოებში, საზოგადოებრივ ადგილებსა და ქუჩაში, დაიცვან სასწავლებლის ღირსება.

25. ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებისათვის დადგენილია საზამთრო და საზაფხულო არდადეგები სასწავლო გეგმების შესაბამისად:

ა) როდესაც სწავლების ვადა 1 წლამდეა — საზამთრო არდადეგები;

ბ) როდესაც სწავლების ვადა 1,5 წლამდეა — საზამთრო არდადეგები სწავლების პირველ წელს და საზაფხულო არდადეგები სწავლების პირველი წლის დამთავრების შემდეგ;

გ) როდესაც სწავლების ვადა 2 წელიწადია — საზამთრო არდადეგები სწავლების პირველ და მეორე წლებში და საზაფხულო არდადეგები სწავლების პირველი წლის შემდეგ.

საზამთრო არდადეგების ხანგრძლიობა 2 კვირაა, ხოლო საზაფხულო არდადეგებისა — 5 კვირა.

ტექნიკური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს მიეცემათ შვებულება იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხარჯზე, რომლებშიაც ისინი გაგზავნილი არიან სამუშაოდ, ამასთან ეს შვებულება ანაზღაურდება კურსდამთავრებულისათვის მიკუთვნებული საკვალიფიკაციო თანრიგის სატარიფო განაკვეთის ან შესაბამისი თანამდებობრივი განაკვეთის მიხედვით, მოცემულ ადგილას მოქმედი რაიონული კოეფიციენტის (დანამატების) გათვალისწინებით. აღნიშნული შვებულება 18 წლის ასაკამდე კურსდამთავრებულებს მიეცემათ ერთი თვის ხანგრძლიობით, ხოლო ყველა დანარჩენ კურსდამთავრებულს — იმ ხანგრძლიობით, რაც დაწესებულია საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში მოცემული პროფესიისა და სპეციალობის მუშაკებისათვის.

ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც სამუშაოდ იგზავნებიან მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, დადგენილი წესით მიეცემათ სამუშაოს ადგილამდე მგზავრობის, ბარგის გადაზიდვის ღირებულება და დღიურები გზაში ყოფნის დროისათვის.

26. ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულ პირებს ამ სასწავლებლებში სწავლების დრო ჩაეთვლებათ საერთო და განუწყვეტელ შრომის სტაჟში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. სასწავლებლის ხელმძღვანელობა და სასწავლო-პედაგოგიური პერსონალი

27. ტექნიკურ სასწავლებლებს სათავეში უდგას დირექტორი, დირექტორი წარმართავს სასწავლებლის მთელ მუშაობას, მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდისათვის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისათვის, კვალიფიციურ მუშათა მომზადების გეგმების შესრულებისათვის, სასწავლებლის სასწავლო-საწარმოო, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობისათვის, საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზისა და ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის; იგი უზრუნველყოფს კადრების სწორად შერჩევასა და განაწილებას, მოსწავლეთა კონტინგენტის დაკომპლექტებას.

დირექტორი ახორციელებს სასწავლებლისადმი ხელმძღვანელობას კოლეგიალობასთან ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე, პედაგოგიური საბჭოს, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციის აქტიური დახმარებით. სასწავლებლის საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ყველა მუშაკი ფართო მონაწილეობას იღებენ მომავალ კვალიფიციურ მუშათა აღზრდასა და სწავლებაში, სახელმწიფო გეგმების შესრულებაში და სასწავლებლის სასწავლო-საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის სრულყოფაში.

სასწავლებლის დირექტორს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი იმ პირთაგან, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, რაც შეესაბამება სასწავლებლის პროფილს და, როგორც წესი, აქვთ საწარმოო და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

28. ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-საწარმოო მუშაობის ხაზით უშუალოდ ხელმძღვანელობს სასწავლებლის სასწავლო და საწარმოო საქმიანობას, პასუხისმგებელია სასწავლო გეგმების, პროგრამების შესრულებისა და მოსწავლეთა შრომის პირობების უსაფრთხობისათვის, ხელმძღვანელობს პედაგოგიურ პერსონალს და წარმართავს მეთოდურ მუშაობას სასწავლებელში.

სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო მუშაობის ხაზით დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი სასწავლებლის დირექტორის წარდგენით იმ პირთაგან, რომლებსაც აქვთ სასწავლებლის პროფილის შესაბამისი უმაღლესი განათლება და საწარმოო და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

29. დირექტორის თანაშემწე კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ხაზით უშუალოდ ხელმძღვანელობს აღმზრდელობითს და კულტურულ-მასობრივ მუშაობას სასწავლებელში, წარმართავს მასწავლებლებისა და საწარმოო სწავლების ოსტატების მუშაობას მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისათვის თეორიული და საწარმოო სწავლების პროცესში, მოაწყობს კომკავშირულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, კლასგარეშე ღონისძიებებს მოსწავლეებთან და ფართოდ გამოიყენებს თვით მოსწავლეთა ინიციატივას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორის თანაშემწეს კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ხაზით დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის წარდგენით იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება და ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილება.

30. სასწავლებლის უფროსი ოსტატი უზრუნველყოფს მოსწავლეთა საწარმოო სწავლების მოწყობას და გატარებას სასწავლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, პოლიგონებსა და სასწავლო მეურნეობაში, საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებში; პასუხისმგებელია იმ საწარმოო გეგმებისა და საწარმოო შეკვეთების ხარისხიანად და დროულად შესრულებისათვის, რომლებიც სასწავლებელს დაუწესდა, უსაფრთხობის ტექნიკის და შრომის დაცვის წესების შესრულებისათვის; იგი უშუალოდ ხელმძღვანელობს საწარმოო სწავლების ოსტატების მუშაობას და წარმართავს სასწავლებლის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მთელი პერსონალის მუშაობას.

უფროს ოსტატს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი სასწავლებლის დირექტორის წარდგენით იმ პირთაგან, რომლებსაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება, რაც სასწავლებლის პროფილს შეესაბამება, და მაღალი საწარმოო კვალიფიკაცია.

31. იმ ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო მეურნეობის გამგე, რომელიც ამზადებს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, უზრუნველყოფს მეურნეობის სწორად გაძღოლას მისი დარგების განვითარებისა და მოსწავლეთა საწარმოო სწავლების ამოცანების შესაბამისად, პასუხისმგებელია სასწავლო მეურნეობის საწარმოო გეგმების შესრულებისათვის.

სასწავლო მეურნეობის გამგეს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი სასწავლებლის დირექტორის წარდგენით იმ პირთაგან, რომლებსაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლება და სპეციალობის მიხედვით მუშაობის საწარმოო სტაჟი.

32. საწარმოო სწავლების ოსტატები და მასწავლებლები უშუალოდ აწყობენ სასწავლო და საწარმოო მუშაობას ჯგუფებში, უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მიერ სასწავლო სამუშაოთა შესრულების უსაშიშრო პირობებს, პასუხისმგებელი არიან მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხისათვის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისათვის, ყველა მოსწავლის მიერ თანამედროვე ტექნიკისა და შრომის მაღალმწარმოებლური მეთოდების ათვისებისათვის, ჯგუფში მოსწავლეთა დასწრებისა და დისციპლინის მდგომარეობისათვის.

საწარმოო სწავლების ოსტატები უზრუნველყოფენ მოსწავლეებს სამუშაო ადგილებით, მასალებით, ინსტრუმენტებით, ტექნიკური დოკუმენტაციით სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლო-საწარმოო სამუშაოთა შესასრულებლად, თვალყურს ადევნებენ იმას, რომ სათანადო წესრიგზე იქნას შენახული სამუშაო ადგილები, მოწყობილობა, ინსტრუმენტი, საცავი მოწყობილობანი სასწავლებლის სახელოსნოებსა და წარმოებაში.

საწარმოო სწავლების ოსტატებსა და მასწავლებლებს დანიშნავს სასწავლებლის დირექტორი:

ა) მასწავლებლებს — იმ პირთაგან, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება შესაბამისი სპეციალობის მიხედვით;

ბ) საწარმოო სწავლების ოსტატებს — იმ პირთაგან, რომლებსაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება, მაღალი საწარმოო კვალიფიკაცია და მუშაობის გამოცდილება მოცემული პროფესიის მიხედვით არანაკლებ 3 წლისა.

საწარმოო სწავლების ოსტატებად შეიძლება დანიშნულ იქნან მაღალკვალიფიციური მუშები, რომლებსაც აქვთ ზოგადი საშუალო განათლება და მოცემული პროფესიის მიხედვით მუშაობის სტაჟი არანაკლებ ხუთი წლისა.

VI. პედაგოგიური საბჭო და მეთოდური მუშაობა ტექნიკურ სასწავლებლებში

33. ტექნიკურ სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი პედაგოგიური ხელმძღვანელობის კოლეგიალობის განსახორციელებლად შეიქმნება პედაგოგიური საბჭო, რომელიც განიხილავს სასწავლო-საწარმოო და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ძირითად საკითხებს.

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სასწავლებლის დირექტორი (თავმჯდომარე), დირექტორის მოადგილე სასწავლო-საწარმოო მუშაობის ხაზით, დირექტორის თანაშემწე კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ხაზით, უფროსი ოსტატი, საწარმოო სწავლების ოსტატები, მასწავლებლები, აღმზრდელები და სხვა პედაგოგიური მუშაკები, სასწავლო მეურნეობის გამგე, სასწავლებლის კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბაზო საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

34. პედაგოგიური პროცესის სრულყოფის, სასწავლო მუშაობის ორგანიზაციისა და წარმოების უფრო ოპტიმალური გზებისა და საშუალებათა განსაზღვრის მიზნით, ტექნიკურ სასწავლებლებში შეიქმნება მეთოდური კომისიები პროფესიებისა და საგნების მიხედვით.

მეთოდური კომისიების, აგრეთვე სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების ხელმძღვანელებს დანიშნავს სასწავლებლის დირექტორი პედაგოგიური საბჭოს რეკომენდაციით ყველაზე გამოცდილ მასწავლებელთა რიცხვიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII. ტექნიკური სასწავლებლის ქონება და საშუალებანი

35. ტექნიკური სასწავლებლის ქონება (შენობები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი და ა. შ.) წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას და მისი განსხვისება ან გადაცემა შეიძლება მხოლოდ დადგენილი წესით.

სასწავლებლის მუშაკები მოვალენი არიან მზრუნველობით მოეპყრან სახელმწიფო ქონებას, განახორციელონ შენობათა, ნაგებობათა და მოწყობილობის სწორი ექსპლუატაცია, დაიცვან მომჭირნეობა მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვაში. იმ პირებს, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან სახელმწიფო ქონების გაფუჭებასა და სახელმწიფოსათვის მატერიალური ზარალის მიყენებაში, ეკისრებათ პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

36. ტექნიკური სასწავლებლები იმყოფებიან სახელმწიფო ბიუჯეტზე და აქვთ ხარჯთაღრიცხვა, დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

ტექნიკური სასწავლებლების მიერ ისეთი სამუშაოებისაგან მიღებული შემოსავალი, რომლებიც მოსწავლეებმა შეასრულეს საწარმოო სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკის პროცესში, განაწილდება და გამოყენებული იქნება იმ წესით, რაც დადგენილია პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის.

იმ ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო მეურნეობის შენახვა, რომლებიც კვალიფიციურ კადრებს ამზადებენ სოფლის მეურნეობისათვის, წარმოებს სპეცსაშუალებათა ხარჯთაღრიცხვით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი. გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხებს სასწავლებლები გამოიყენებენ იმ წესით, რაც დადგენილია სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო მეურნეობებისათვის.

იმისათვის, რომ განვითარდეს სასწავლო სახელოსნოების (სასწავლო მეურნეობების) საწარმოო საქმიანობა და უფრო რაციონალურად იქნას შეხამებული სწავლების ამოცანები მოსწავლეთა მწარმოებლურ შრომასთან, ტექნიკურ სასწავლებლებს საჭირო შემთხვევებში მიეცემათ სათანადო საბრუნავი სახსრები.

37. ტექნიკური სასწავლებლები წარმოადგენენ იურიდიულ პირს, მათ აქვთ ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და სასწავლებლის სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

119 სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ დამხმარე საწარმოები და სარეწები, რომლებიც კოლმეურნეობებში ადგილობრივი მასალებისა და ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადს გადამუშავებას აწარმოებენ, ხელს უწყობენ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების საჭიროებათა დაკმაყოფილებას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან შედარებით თავისუფალ პერიოდებში ასაქმებენ კოლმეურნეებს და აძლევენ მათ დამატებით შემოსავალს.

1965 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მუშაობდა 989 სახერხი, 50 კირის, 44 აგურის, 70 კრამიტის ქარხანა, 1245 წყლისა და 802 მექანიკური წისქვილი, 188 სადურგლო და ხისდამმუშავებელი სახელოსნო, 16 ზეთსახდელი ქარხანა და სხვა საწარმოები, რომლებმაც გამოუშვეს 8405 ათასი მანეთის პროდუქცია და კოლმეურნეობებს მისცეს 3230 ათასი მანეთი მოგება.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში ამ საქმისადმი ყურადღებისა და ხელმძღვანელობის უქონლობის შედეგად, დამხმარე საწარმოების მუშაობა შესუსტდა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, სუსტადაა განვითარებული ადგილობრივი საშენი მასალების წარმოება, ხის ტარისა და სხვადასხვა ინვენტარის ხის ნაწილების დამზადება, არასაკმაოდაა გამოყენებული ადგილობრივი რესურსები კერამიკული წარმოების, კერძოდ, ღვინის ქვევრების წარმოების შესაქმნელად, არ არის მოწყობილი სახელმწიფო დამზადების გეგმების შესრულების შემდეგ დარჩენილი ბოსტნეულისა და ხილის გადამუშავება და სხვა.

სრულიად არ არის მოწყობილი დამხმარე საწარმოები მთელი რიგი რაიონების (ახალციხის, ჯავის, ზნაურის, ყაზბეგის, ონის და სხვა) კოლმეურნეობებში.

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით შემოღებული შეზღუდვები გაუქმებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 14 აპრილის დადგენილებით „სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებს და საბჭოთა მეურნეობებს სამეურნეო მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ზიანის მიუყენებლად განავითარონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამმუშავებელი, საშენი მასალების, თიხის ჭურჭლის, სახალხო მოხმარების სხვა საგნების დამამზადებელი დამხმარე საწარმოები და სარეწები უმთავრესად ადგილობრივი ნედლეულისა და მრეწველობის ნარჩენების გამოყენებით, ხისაგან სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოება გამოყოფილი ტყესაკაფის ფარგლებში, აგრეთვე მოაწყონ სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები. ამასთან ფართოდ იქნას გამოყენებული შინ მომუშავე ხელოსანთა შრომა.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, რაიაღმასკომებმა და სოფლის მეურნეობის რაიონულმა საწარმოო სამმართველოებმა ხელი შეუწყონ კოლმეურნეობებში, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების მოწყობას, გაუწიონ მათ ორგანიზაციული და ტექნიკური დახმარება საქმიანობის სწორად წარმართვაში და მზა პროდუქციის რეალიზაციაში.

3. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების და საბჭოთა მეურნეობების დამხმარე საწარმოებისა და სარეწების ნაკეთობათა წარმოების მოცულობას და ნომენკლატურას განსაზღვრავენ თვით მეურნეობები, ხოლო გამომუშავებული პროდუქცია საღდება ხელშეკრულებათა საფუძველზე, რომელიც იდება სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებთან, სხვა სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციებთან, სამრეწველო საწარმოებთან, აგრეთვე საკოლმეურნეო და საქალაქო ბაზრებზე.

4. გასაყიდი პროდუქციის ფასები და სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების მხრივ მომსახურების ტარიფები წესდება:

ა) კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების და საბჭოთა მეურნეობების დამხმარე საწარმოებისა და სარეწების პროდუქციაზე, რომელიც საკოლმეურნეო და საქალაქო ბაზრებში იყიდება, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, რომელსაც მოსახლეობას კოლმეურნეობათა და საკოლმეურნეობათაშორისო სახელოსნოები უწევენ, — თვით კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ;

ბ) კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების და საბჭოთა მეურნეობების დამხმარე საწარმოებისა და სარეწების პროდუქციაზე, რომელსაც ისინი სამომხმარებლო კოოპერაციის და სხვა სავაჭრო, სამეურნეო და სამრეწველო ორგანიზაციების დაკვეთით აწარმოებენ, — მხარეთა შეთანხმებით;

გ) სამომხმარებლო კოოპერაცია და სხვა სავაჭრო ორგანიზაციები ამ პროდუქციას ჰყიდიან მოქმედ საცალო ფასებით;

დ) საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოების მიერ საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევა წარმოებს სახელმწიფო პრეისკურანტების ფასებითა და ტარიფებით.

5. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ შეისწავლოს კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილება ტექნოლოგიურ მოწყობილობასა და მასალებზე, რაც საჭიროა დამხმარე საწარმოებისა და სარეწებისათვის, და ყოველწლიურად წარუდგინოს საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს განაცხადი მოწყობილობაზე, მექანიზმებსა და მასალებზე და მიაღწიოს მოთხოვნილი მასალების გამოყოფას.

6. ნება დაერთოს სავაჭრო ორგანიზაციებს, საჭირო შემთხვევაში, საბაზრო ფონდის ცალკეული საქონელი მისცეს კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეობა-

თაშორისო ორგანიზაციებს და საბჭოთა მეურნეობებს, როგორც გადასამუშავებელი ნედლეული და დამხმარე მასალები, სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოებლად ხელშეკრულების მიხედვით, წვრილ ბითუმის ლიმიტში ჩაუთვლელად.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს და უწყებებს მოაწყონ სოფლად, იქ, სადაც ეს მიზანშეწონილი იქნება, სამრეწველო საწარმოების სეზონური ფილიალები და გამოიყენონ ისინი, აგრეთვე სოფლად არსებული საწარმოები ხელშეკრულების საფუძველზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჭარბი მუშახელის დასასაქმებლად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან თავისუფალ პერიოდებში.

8. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საჭირო შემთხვევაში, ავტონომიურ რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებში, სამხრეთ ოსეთის ა/ო სოფლის მეურნეობის სამმართველოში და სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებში გამოყოს დამტკიცებული შტატისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში თითო მუშაკი, რომელიც დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებსა და საბჭოთა მეურნეობებს დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების საქმეში.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირს შეიმუშაონ და დაამტკიცონ კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების და საბჭოთა მეურნეობების სანიმუშო ხელშეკრულება სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციებთან დამხმარე საწარმოების და სარეწების პროდუქციის რეალიზაციისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 9 დეკემბერი, № 673.

ეროვნული ბიბლიოთეკა

120 კომპლექსური ქსელური გრაფიკების საფუძველზე სახალხო მეურნეობაში ქსელური დაგეგმვისა და მართვის სისტემების დანერგვის ზომების შესახებ[1])

(ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 მარტის № 142 დადგენილება „საქართველოს სსრ სამშენებლო წარმოების დაპროექტების, სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების დაგეგმვისა და მართვის საქმეში მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის შემდგომი განვითარების შესახებ“. ქსელური დაგეგმვისა და მართვის მეთოდების გამოყენებისას კმაყოფილდებიან ცალკეული ქსელური გრაფიკების შედგენით და პრაქტიკულად მათ არ იყენებენ. ამავე დროს ეს მეთოდი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ რაციონალურად იქნას გამოყენებული შრომითი და მატერიალური რესურსები, უფრო ზუსტად მოეწყოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, დაფინანსება, ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება და ხელსაწყოებისა და მოწყობილობის დროზე მიწოდება ახალი ობიექტებისათვის.

ქსელური დაგეგმვისა და მართვის მეთოდების ფართოდ დანერგვას ისიც აფერხებს, რომ დროზე არ ხდება ინფორმაციის მიწოდება სამუშაოთა შესრულების დაწესებული ვადების დარღვევის შესახებ, საკმაოდ არ შეესაბამება დაგეგმვის, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების არსებული წესი ქსელური დაგეგმვისა და მართვის პრინციპებს და არ ხდება ამ მეთოდის დანერგვის მატერიალური სტიმულირება, აგრეთვე ის, რომ ამ მეთოდს ვერ აფასებენ ცალკეული საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციებისა და უწყებათა ხელმძღვანელები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 აგვისტოს № 639 დადგენილების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ ფართოდ დაინერგოს ქსელური დაგეგმვისა და მართვის მეთოდები და სისტემები კომპლექსური ქსელური გრაფიკების საფუძველზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მშენებლობის სამინისტროს:

— ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს კომპლექსური ქსელური გრაფიკები ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის მშენებლობისა, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მშენებლობისა და განაგრძოს მუშაობა მშენებლობაში იმ ობიექტების ქსელური გრაფიკების გამოყენებისათვის, რომლებიც აღნიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 მარტის № 142 დადგენილებაში;

— კომპლექსურ ქსელურ გრაფიკს, რომელიც შედის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შემადგენლობაში, შეადგენს გენერალური საპროექტო ორგანიზაცია, შეუთანხმებს შემკვეთს, მშენებლობის ტექნოლოგიური მოწყობილობის მაკომპლექტებელ ორგანიზაციას, გენერალურ მოიჯარეს და წამყვან სამონტაჟო ორგანიზაციებს;

[1]) დანართები არ მოიყვანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კომპლექსურ ქსელურ გრაფიკს, რომელიც სამუშაოთა წარმოების პროექტის შემადგენლობაში შედის, შეადგენს გენერალური საპროექტო ორგანიზაცია ტრესტ „საქორგტექმშენის“ მონაწილეობით და შეუთანხმებს ყველა ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სამუშაოთა წარმოებაში, ტექნოლოგიური მოწყობილობის მიმწოდებელ სამინისტროებსა და ქარხნებს და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც აკომპლექტებენ მშენებლობას ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით;

— უზრუნველყოს შემკვეთებთან ერთად ობიექტების მშენებლობის ოპერატიული დაგეგმვა და მართვა იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნება ქსელური გრაფიკების დამუშავების შედეგად, და შექმნას ოპერატიულ-სადისპეტჩერო ჯგუფები ქსელურ დაგეგმვასა და მართვაზე გადასაყვან მშენებლობის ობიექტებზე, ამასთან საბოლოო მიზნად დაისახოს დაგეგმვისა და მართვის ერთიანი, ავტომატიზებული სისტემის შექმნა მათემატიკური მეთოდების, გამოთვლითი ტექნიკის, დისპეტჩერიზაციის თანამედროვე საშუალებათა და ინფორმაციის გადაცემის საშუალებათა გამოყენებით;

— მოაწყოს სამინისტროს ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში, ცენტრალური აპარატის დამტკიცებული შტატების ფარგლებში, ქსელური დაგეგმვისა და მართვის ჯგუფი, დააკისროს ამ ჯგუფს ობიექტების მშენებლობის ოპერატიული მართვის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მომზადების ორგანიზაცია, ამ გადაწყვეტილებათა დროულად შესრულებისადმი კონტროლი და ისეთ ღონისძიებათა შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ქსელური დაგეგმვისა და მართვის მეთოდების ფართოდ დანერგვას მშენებლობაში;

— შეასწავლოს ქსელური დაგეგმვისა და მართვის მეთოდები ქვესაუწყებო დაწესებულებათა ინჟინერ-ტექნიკურ კადრებს იმ კურსებისა და სემინარების მეშვეობით, რომლებიც ამ დადგენილების თანახმად მოეწყობა საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითს ცენტრში და ტრესტ „საქორგტექმშენთან“;

— მოაწყოს ტრესტ „საქორგტექმშენთან“ სემინარი, სადაც სამშენებლო ტრესტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელი კადრები შეისწავლიან ქსელური დაგეგმვისა და მართვის მეთოდებს;

— მოაწყოს 1967 წლის იანვრიდან, ტრესტების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით „საქორგტექმშენთან“ კურსები, სადაც სამინისტროს მუშაკები შეისწავლიან ქსელური დაგეგმვისა და მართვის მეთოდებს;

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ:

მიაწოდოს მასალები, ტექნოლოგიური მოწყობილობა, ხელსაწყოები, საკაბელო პროდუქცია და სხვა ნაკეთობანი, რომლებიც საჭიროა როგორც ამ დადგენილებით, ისე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 მარტის № 142 დადგენილებით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, კომპლექსური ქსელური გრაფიკებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა მოეწყოს აღნიშნულ ნაკეთობათა მიწოდება შემკვეთებსა და მიმწოდებლებს შორის პირდაპირი ურთიერთობის მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზე;

დროზე მიიღოს საჭირო ზომები იმ ობიექტებიდან შემოსული ოპერატიული ინფორმაციის მოსაწყობად, რომლებიც გადაყვანილი იქნებიან ქსელურ დაგეგმვასა და მართვაზე.

დაწესდეს, რომ მაკომპლექტებელ ორგანიზაციებთან ქსელურ გრაფიკებს მოწყობილობის, ხელსაწყოების, საკაბელო და სხვა ნაკეთობათა მიწოდების ვადების თაობაზე შეათანხმებს გენერალური მოიჯარე დაგეგმილი წლის მომდევნო წლის არა უგვიანეს 1 სექტემბრისა;

— მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე მოთხოვნილება უნდა განისაზღვროს მასალების ხარჯვის ფიზიკური მოცულობისა და საწარმოო ნორმების მიხედვით.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველომ უზრუნველყოს ამ დადგენილების 1 პუნქტში ჩამოთვლილ ობიექტებზე სამონტაჟო სამუშაოების შესრულება შესაბამისი ქსელური გრაფიკებით გათვალისწინებულ ვადებში.

4. დაწესდეს, რომ 1968 წლიდან დაწყებული, ახალი სახეობის ნაკეთობათა წარმოების ორგანიზაციის, ობიექტების მშენებლობის სამუშაოთა დაგეგმვა და დაფინანსება, ობიექტების რეკონსტრუქცია და რემონტი, როგორც წესი, იწარმოებს ქსელური დაგეგმვისა და მართვის სისტემების გამოყენების საფუძველზე დამტკიცებული კომპლექსური ქსელური გრაფიკების მიხედვით.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს ჩაატარონ 1966-1967 წლებში სამზადისი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მოეწყოს აღნიშნული სამუშაოები ქსელური დაგეგმვისა და მართვის სისტემების გამოყენებით.

6. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ დააყენოს საკითხი სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს წინაშე, რათა შეტანილ იქნას საპროექტო ინსტიტუტის „გიპროსვიაზის“ საქართველოს ფილიალის 1967 წლის გეგმაში სადისპეტჩერო კავშირგაბმულობის საპროექტო დავალებისა და სამუშაო ნახაზების შემუშავება საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში.

დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს განახორციელოს, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან პირდაპირ ხელშეკრულებათა საწყისებზე, კავშირგაბმულობის საშუალებათა დაპროექტება და მშენებლობა სადისპეტჩერო სამსახურისა და იმისათვის, რომ გადაცემულ იქნას კოდირებული ოპერატიული ინფორმაცია მშენებლობის მმართველობის ჯგუფებსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითს ცენტრს შორის.

დაწესდეს, რომ ოპერატიული ინფორმაციის გადაცემა, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ნორმალურად მოქმედებდეს ქსელური დაგეგმვისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართვის სისტემები მრეწველობასა და მშენებლობაში, ხორციელდება დროებით მოქმედ ანგარიშგებასთან ერთად.

7. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითმა ცენტრმა რიგგარეშე დაამუშაოს ქსელური გრაფიკების ოპერატიული ინფორმაცია ელექტროგამომთვლელ მანქანებზე და განახორციელოს იმისადმი მეთოდური ხელმძღვანელობა, რომ სამშენებლო ორგანიზაციებმა მოამზადონ მონაცემები ელექტროგამომთვლელ მანქანებზე ქსელური გრაფიკების გასაანგარიშებლად, რისთვისაც გამომთვლელ ცენტრთან მოეწყოს სპეციალური სემინარი.

8. მოეწყოს საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სახელშეკრულებო საწყისებზე მუდმივმოქმედი კურსები წარმოებისაგან მოწყვეტით, სადაც მსმენელები შეისწავლიან ქსელური დაგეგმვისა და მართვის მეთოდებს თანდართული პროგრამის თანახმად.

აღნიშნული კურსების დაკომპლექტება დაეკისროს საქართველოს სსრ სახმშენს.

9. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიას სამინისტროებისა და უწყებების ქსელური დაგეგმვისა და მართვის სპეციალისტთა ჯგუფების მუშაობისადმი მეთოდური ხელმძღვანელობა, სამშენებლო ორგანიზაციების ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობის ყველა რგოლის ქსელური დაგეგმვისა და მართვის მეთოდების შესწავლა და იმ სამუშაოთა საუწყებათაშორისო კოორდინაცია, რომლებიც დაკავშირებულია ქსელური დაგეგმვისა და მართვის დანერგვასთან.

10. დაეკისროს საპროექტო ინსტიტუტს „საქმშენსახპროექტს“ იმისადმი მეთოდური ხელმძღვანელობა, რომ დაინერგოს დაპროექტებაში ქსელური დაგეგმვისა და მართვის მეთოდები.

11. ნება დაერთოს სამინისტროებსა და უწყებებს გასწიონ ქსელური დაგეგმვისა და მართვის სისტემების დანერგვასთან დაკავშირებული ხარჯები სამუშაოთა ან ნაკეთობათა თვითღირებულების ანგარიშში.

12. იმ მიზნით, რომ სტიმულირებულ იქნას ქსელური დაგეგმვისა და მართვის სისტემების შემდგომი დანერგვა მშენებლობასა და მრეწველობაში, გავრცელდეს იმ მშენებლობათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებზე, რომლებიც უშუალოდ ეწევიან ქსელური გრაფიკების შემუშავებას და ახორციელებენ ობიექტების შექმნას ქსელური დაგეგმვისა და მართვის მეთოდის გამოყენებით, წესი საწარმოების და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოებისა ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის.

13. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შექმნას გამოყენებითი მათემატიკის საპრობლემო სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიის სისტემაში ქვეგანაყოფი, რომელიც შეიმუშავებს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მართვის მათემატიკური მეთოდებისა და ავტომატიზებული სისტემების დანერგვასთან გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, „საქქალაქმშენსახპროექტმა“, ექსპერიმენტული და ტიპობრივი დაპროექტების ზონალურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და საქსახპროექტმა ერთი თვის ვადაში მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 მარტის № 142 დადგენილება „საქართველოს სსრ სამშენებლო წარმოების დაპროექტების, სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების დაგეგმვისა და მართვის საქმეში მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის შემდგომი განვითარების შესახებ“ და ყოველკვარტალურად წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიას და საქართველოს სსრ სახმშენს მოკლე ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

15. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ სახმშენს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 12 დეკემბერი, № 679.

ეროვნული ბიბლიოთეკა

121 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 464 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 464 დადგენილების პირველ პუნქტს სიტყვები: „თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების საკურორტო სამმართველო დარჩეს აღმასკომის გამგებლობაში და ამავე დროს დაუმორჩილდეს იგი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტების სამმართველოს“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 464 დადგენილების დანართი დასათაურდეს: „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტების სამეურნეო ანგარიშის სამმართველოს საშტატო განრიგი“.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული ცვლილებანი 1967 წლის გეგმების შედგენის დროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 26 დეკემბერი, № 700.

122 ქ. თბილისისა და რუსთავის საზღვრებს შორის მდებარე ზონის განაშენიანების აკრძალვის შესახებ

აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისისა და რუსთავის საზღვრებს შორის მდებარე ზონაში, რომელიც განკუთვნილია გამწვანებისათვის, უკანასკნელი წლების მანძილზე სხვადასხვა უწყებებმა და ორგანიზაციებმა არსებული წესების დარღვევით დაიკავეს მიწის ნაკვეთები და ააგეს სხვადასხვა საწარმოო ნაგებობანი. ეს შედეგია იმისა, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებმა, თბილისის საქალაქო საბჭოს და გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომებმა ამ ზონაში განაშენიანების აღკვეთის საქმეს არ გაუწიეს სათანადო კონტროლი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო მშენებლობის ტრესტმა დაიკავა ტერიტორია, რომელზედაც ამჟამად განლაგებული არიან საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 მოძრავი მექანიზირებული კოლონა, რომელსაც უკავია 4,3 ჰექტარი, ამავე სამინისტროს საშენ მასალათა კომბინატი — 9,8 ჰექტარი და მელიორაციისა და წყალთა მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობის სამინისტროს საძოვრების გაწყლიერების სისტემის საექსპლოატაციო სამმართველოს შენობა-ნაგებობები, რომლებიც გადაცემულია ბალანსიდან ბალანსზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ მეექვსე სატვირთო საავტომობილო სატრანსპორტო კანტორის მოსაწყობად, ნაცვლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 3 ოქტომბრის № 620 დადგენილებით გამოყოფილი 1 ჰექტარისა, დაიკავა 3,66 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ხოლო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დასუფთავების ტრესტმა ნაგვის დასაყრელ მოედნად აქცია 3 ჰექტარი.

ქალაქ თბილისისა და რუსთავის საზღვრებს შორის მდებარე ზონის გამწვანების უზრუნველსაყოფად და გამოვლინებულ დარღვევათა აღსაკვეთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აეკრძალოს ყველა ორგანიზაციას, დამოუკიდებლად მათი საუწყებო დაქვემდებარებისა, ქალაქ თბილისისა და რუსთავის საზღვრებს შორის გამწვანებისათვის განკუთვნილ ზონაში მშენებლობა, აგრეთვე ამ ტერიტორიაზე არსებული ობიექტების შემდგომი გაფართოება-რეკონსტრუქცია.

2. დაევალოს გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომს დააწესოს მკაცრი კონტროლი და არ დაუშვას განაშენიანება და თვითნებურად ფართობების დაკავება გამწვანებისათვის განკუთვნილ ზონაში.

3. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყონ დაკავებული ფართობების სათანადო წესით გაფორმება და აღკვეთონ აღნიშნულ ზონაში მიწის ნაკვეთების შემდგომი გაფართოება და მისი განაშენიანება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წარმოადგინოს სათანადო წინადადება ორგანიზაციების მიერ დაკავებული ფართობების გასაფორმებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ვირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 26 დეკემბერი, № 701.

ეროვნული ბიბლიოთეკა

123 საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ

„საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 ოქტომბრის № 801 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ მუშათა, მოსამსახურეთა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, ტექნიკუმებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების, საერთო საცხოვრებლების რემონტისა და კეთილმოწყობის გაუმჯობესება, აგრეთვე საერთო საცხოვრებლების უზრუნველყოფა ავეჯითა და ინვენტარით დაწესებული ნორმების შესაბამისად;

ბ) სათანადო წესრიგი დაამყარონ საერთო საცხოვრებლებში და შეუქმნან იქ მცხოვრებ ახალგაზრდობას მეცადინეობისა და დასვენებისათვის საჭირო პირობები;

გ) მიიღონ ზომები საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის, მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, აღმზრდელთა შემადგენლობის განმტკიცებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

დ) 1966-1968 წლების განმავლობაში გადაასახლონ ოჯახები საერთო საცხოვრებლების საერთო ოთახებიდან, აგრეთვე გაათავისუფლონ საერთო საცხოვრებლების სადგომები, რომლებიც არადანიშნულებით უკავიათ იმ პირებს, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ იმ უწყებებთან, ვისაც საერთო საცხოვრებლები ეკუთვნით;

ე) დროზე წარადგინონ განცხადებები ავეჯსა და ინვენტარზე საერთო საცხოვრებლების გასაწყობად ახალი მშენებლობის მოცულობის შესაბამისად, არსებული საერთო საცხოვრებლების ავეჯისა და ინვენტარის გამოცვლისა და შევსების აუცილებლობის გათვალისწინებით.

2. დაეკისროთ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელებს პერსონალური პასუხისმგებლობა საერთო საცხოვრებლებში მუშათა, მოსამსახურეთა და მოსწავლეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებისათვის.

3. საქართველოს სსრ სახმშენმა საერთო საცხოვრებლების პროექტების დამტკიცებისას იხელმძღვანელოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 ოქტომბრის № 801 დადგენილების 2, 3 და 4 პუნქტებით.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სახალხო მეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავებისას გაითვალისწინონ მუშათა, მოსამსახურეთა და მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლების მშენებლობის მოცულობის გადიდება.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მიიღონ საჭირო ზომები საერთო საცხოვრებლების მშენებლობის იმ გეგმის შესასრულებლად, რომელიც დაწესებულია წლიური დავალებებით, ყოველკვარტალურად განიხილონ კოლეგიის სხდომებზე საერთო საცხოვრებლების მშენებლობის მიმდინარეობის საკითხები.

6. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად და საქართველოს პროფსაბჭოსთან და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დებულება საერთო საცხოვრებლების შესახებ.

7. ეცნობოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 ოქტომბრის № 801 დადგენილების მე-10 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ იმ საერთო საცხოვრებლებში, სადაც შემოღებულია თვითმომსახურება და განხორციელებულია ღონისძიებანი, რომლებიც ამცირებენ საერთო საცხოვრებლების შენახვის ხარჯებს, ამის შედეგად შექმნილი ეკონომია, საერთო საცხოვრებლების შესანახი სახსრების ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით, მოხმარდება მოცემულ საერთო საცხოვრებელში მცხოვრებთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

აღნიშნული სახსრების გამოყენების წესს დაადგენენ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელები პროფესიულ კავშირთა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად.

8. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო რაიონული საბჭოების აღმასკომებს სისტემატური კონტროლი გაუწიონ საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობას, საერთო საცხოვრებლების უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, ამასთან საჭირო და-

ხმარება აღმოუჩინონ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და წევლებლებს საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებთა საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 30 დეკემბერი, № 708.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

124 განკარგულება № 1648-ბ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ნოემბრის № 870 დადგენილება „ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა დებულების დამტკიცების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 17 ნოემბერი, № 1648-ბ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 870

1966 წლის 11 ნოემბერი

მოსკოვი, კრემლი

ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა დებულების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა შესახებ და შემოღებულ იქნას იგი სამოქმედოდ 1967 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАМТКИЦЕБУЛИ
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 11 ნოემბრის № 870
დადგენილებით

ДЕБУЛЕБА

ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ფიქსირებული საბიუჯეტო გადასახდელები დაწესდება იმ საწარმოებისათვის, რომლებსაც, ხელსაყრელი ბუნებრივი და სატრანსპორტო პირობების გამო, შეექმნებათ დიფერენციული წმინდა შემოსავალი და იმ საწარმოებისათვის, ოომელთა რენტაბელობა უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო რენტაბელობა დარგის მიხედვით წარმოების იმ სხვა ტექნიკურ-ეკონომიური პირობების გამო, რომლებიც არ არის გამოყენებული საანგარიშსწორებო ფასები. ფიქსირებულ გადასახდელთა შემოღებამ არ უნდა შეამციროს საწარმოების მატერიალური დაინტერესება მათი ტექნიკური დონის ამაღლებით და მუშაობის გაუმჯობესებით.

2. ფიქსირებული გადასახდელები შეიტანება ბიუჯეტში მოგების ხარჯზე. მრეწველობის მომპოვებელი დარგების საწარმოებს შეაქვთ ფიქსირებული (სარენტო) გადასახდელები, როგორც წესი, მტკიცე თანხებში პროდუქციის ერთეულიდან, ხოლო მრეწველობის დამმუშავებელი და გადამმუშავებელი დარგების საწარმოებს შეაქვთ ფიქსირებული გადასახდელები რეალიზებული პროდუქციის ღირებულების პროცენტულად საბითუმო ფასებში ან მტკიცე თანხებში.

ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა ოდენობა გამოიანგარიშება იმ პროდუქციის რაოდენობის საფუძველზე, რომელიც რეალიზებულია გარეთ (ნატურალური გამოხატულებით ან საბითუმო ფასებში) ან გადაცემულია მოცემული საწარმოს შიგნით გადასამუშავებლად.

3. ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა ოდენობის განსაზღვრისას საწარმოსათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას რენტაბელობა არა ნაკლებ საშუალო-დარგობრივი რენტაბელობისა.

ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა ოდენობას მტკიცე თანხებში პროდუქციის ერთეულიდან დააწესებენ და გადასინჯავენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან შეთანხმებით, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებთან არსებული ფასების კომიტეტები ამ რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, ფასების დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა ოდენობას პროდუქციის ღირებულების პროცენტულად საბითუმო ფასებში დააწესებენ და გადასინჯავენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით;

რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში — მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტებთან და ამ რესპუბლიკების დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

4. ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა ოდენობა დადგინდება, როგორც წესი, მთელი რიგი წლებისათვის და შემოღებული იქნება მიმდინარე წლის მომდევნო 1 იანვრიდან, ხოლო საბითუმო ფასების დაწესებისას ან შეცვლისას — ამ ფასების შემოღების მომენტიდან.

როდესაც საჭიროა ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა დაწესებული ოდენობის შეცვლა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება მათი შეცვლა საბითუმო ფასების დაწესებასთან ან შეცვლასთან დაკავშირებით), ეს ოდენობა უნდა განისაზღვროს მიმდინარე წლის 1 მაისამდე, ამ გადასახდელთა ოდენობის შეცვლა შემოღებული იქნება სამოქმედოდ მიმდინარე წლის მომდევნო დამდეგიდან.

II. ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა გადამხდელები

5. ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა გადამხდელები არიან სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო საწარმოები, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი, აგრეთვე საანგარიშსწორებო ანგარიში ბანკის დაწესებულებაში.

იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოს არა აქვს საანგარიშსწორებო ანგარიში, ფიქსირებულ გადასახდელებს შეიტანს ბიუჯეტში ზემდგომი ორგანიზაცია, რომლის გამგებლობაში იმყოფება მოცემული საწარმო.

III. ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა გადახდის ვადები

6. ფიქსირებულ გადასახდელთა შეტანა ბიუჯეტში წარმოებს:

ა) როდესაც გადასახდელთა საშუალო თვიური თანხა 250 ათასი მანეთი და მეტია — ყოველთვიურად;

ბ) როდესაც გადასახდელთა საშუალო-თვიური თანხა 5 ათასი მანეთიდან 250 ათას მანეთამდეა — ყოველდეკადურად;

მიმდინარე თვის 13 რიცხვს — პირველი დეკადისათვის;

მიმდინარე თვის 23 რიცხვს — მეორე დეკადისათვის;

შემდგომი თვის 3 რიცხვს — მესამე დეკადისათვის;

დეკემბრის თვის დეკადური გადასახდელები შეიტანება:

19 რიცხვს — პირველი დეკადისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 რიცხვს — მეორე დეკადისათვის;

29 რიცხვს — მესამე დეკადისათვის;

გ) როდესაც გადასახდელთა საშუალო-თვიური თანხა 5 ათას მანეთამდეა — თვეში ერთხელ, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო 23 რიცხვისა;

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს უფლება ენიჭება შეცვალოს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით ცალკეული საწარმოებისათვის ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა შეტანის აღნიშნული ვადები.

IV. გადამხდელთა მოვალეობანი

7. ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა თანხების გამოანგარიშება ეკისრებათ ამ გადასახდელთა გადამხდელებს.

საწარმოები, რომლებიც იხდიან ბიუჯეტში ფიქსირებულ გადასახდელებს, წარუდგენენ შესაბამის საფინანსო ორგანოებს იმის ანგარიშებს, თუ რამდენი ერგება ბიუჯეტს ეს გადასახდელები, იმ ვადებში და იმ ფორმების მიხედვით, რომლებსაც დააწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით, საწარმოები მოვალენი არიან წარუდგინონ საფინანსო ორგანოებს მათი მოთხოვნით დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად სწორად მოხდა გამოანგარიშება და დროზე იქნა თუ არა შეტანილი ბიუჯეტში ფიქსირებული გადასახდელები.

8. საწარმოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფიქსირებულ გადასახდელთა სწორად გამოანგარიშებისა და ბიუჯეტში დროზე შეტანისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ სწორად იქნას შედგენილი და დროზე წარედგინოს საფინანსო ორგანოებს დაწესებული ანგარიშგება.

V. საფინანსო ორგანოების უფლება-მოვალეობანი

9. საფინანსო ორგანოებს ეკისრებათ ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა გადამხდელების აღრიცხვა, ამ გადასახდელთა ბიუჯეტში შემოსვლის გეგმების პროექტების შედგენა, იმის შემოწმება, თუ რამდენად დროულად და სწორად იქნა შედგენილი საწარმოების მიერ დაწესებული ანგარიშგება, აგრეთვე ფიქსირებულ საბიუჯეტო გადასახდელთა სწორად გამოანგარიშებისა და დროულად გადახდისადმი კონტროლის განხორციელება.

10. ფიქსირებულ გადასახდელებს, რომლებიც არ შესულა ბიუჯეტში დაწესებული ვადის განმავლობაში, გადაახდევინებენ საფინანსო ორგანოები უდაო წესით, ამასთან დაარიცხავენ საურავს ნარჩენის თანხის 0,05 პროცენტის ოდენობით გადასახდელის გადახდის ყოველ გადაცილებულ დღეში, დაწყებული გადახდის ვადის დადგომის მეორე დღიდან გადახდის დღემდე ჩათვლით.

11. ინსტრუქციას ამ დებულების შეფარდების შესახებ გამოსცემს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

125 **განკარგულება № 1730-გ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ნოემბრის № 914 დადგენილება „საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის წესის შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 6 დეკემბერი, № 1730-გ.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 914

1966 წლის 29 ნოემბერი

მოსკოვი, კრემლი

საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის წესის შესახებ.

2. საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტების და ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის დარქმევის, გადარქმევის, აგრეთვე მათი სახელწოდების ტრანსკრიფციის საკითხების გადაწყვეტაში ერთგვაროვნობის უზრუნველყოფის მიზნით, ამ სამუშაოთა კოორდინაცია დაეკისროს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოს.

შეიქმნას სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოსთან გეოგრაფიულ დასახელებათა მუდმივი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყებათაშორისო კომისია სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, გზათა სამინისტროს, საზღვაო ფლოტის სამინისტროს, სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების წარმომადგენელთა შემადგენლობით:

დაევალოს აღნიშნულ კომისიას:

განიხილოს და გადაწყვიტოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის დარქმევის, გადარქმევის და სახელწოდებათა ტრანსკრიფციის მეთოდოლოგიის საკითხები, შესაბამის ორგანიზაციებს წარუდგინოს დასკვნები დასახლებული პუნქტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის საკითხებზე, მონაწილეობა მიიღოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის საკითხების გადაწყვეტაში, დააზუსტოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ტრანსკრიფციები და წარადგინოს დასკვნები დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ტრანსკრიფციის საკითხებზე.

მონაწილეობა მიიღოს რკინიგზის სადგურების, სამგზავრო გასაჩერებელი პუნქტების, საზღვაო ნავსადგურების, ნავსადგურპუნქტებისა და აეროპორტებისათვის სახელის დარქმევის, გადარქმევის და სახელწოდებათა ტრანსკრიფციის დაზუსტების საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში.

განიხილოს და სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ინსტრუქციები და წესები გეოგრაფიულ სახელწოდებათა და გეოგრაფიულ დასახელებათა ლექსიკონ-ცნობარების ტრანსკრიფციის შესახებ.

გადაწყვიტოს სადავო საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია გეოგრაფიული სახელწოდების სესხებასთან საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებისათვის სახელის დარქმევის და გადარქმევის დროს ან ამ ობიექტების სახელწოდებათა ტრანსკრიფციის დაზუსტებასთან.

3. დაევალოს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცოს დებულება სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოსთან არსებულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა საუწყებათაშორისო კომისიის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 29 ნოემბრის № 914
დადგენილებით

დებულება

საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის წესის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს შემდეგი ობიექტებისათვის სახელის დარქმევის, გადარქმევის და სახელწოდებათა ტრანსკრიფციის დაზუსტების წესს:

რკინიგზის სადგურების და სამგზავრო გასაჩერებელი პუნქტების, საზღვაო ნავსადგურებისა და ნავსადგურპუნქტების, აეროპორტების, კავშირგაბმულობის ფოსტა-ტელეგრაფის საწარმოების, აგრეთვე საერთო-საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების ქვესაუწყებო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და სხვა ობიექტების, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებსა და სსრ კავშირის უწყებებს.

ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისა, რომლებიც მდებარეობენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე, აგრეთვე აღმოჩენილია ზღვებში, ოკეანეებში და ანტარქტიკაში საბჭოთა მკვლევარების მიერ, აგრეთვე 1917 წლის 7 ნოემბრამდე— რუსი მკვლევარების მიერ, უკეთუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო შეთანხმებებით, რომლებშიაც მონაწილეობას იღებს სსრ კავშირი, და ან არ გამომდინარეობენ საერთაშორისო სამართლის საზოგადოდ აღიარებული ნორმებიდან.

2. საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებს და ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტებს სახელწოდება მიეკუთვნება გეოგრაფიულ-ისტორიული, ეროვნული, საყოფაცხოვრებო და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, სახელწოდება ამოირჩევა უბრალო, არამრავალსიტყვიერი და უნდა შეესაბამებოდეს ტოპონიმიკის მოთხოვნებს. არ შეიძლება ისეთი სახელწოდების მიცემა, რაც უკვე მიკუთვნებული აქვს სსრ კავშირის მოცემული სამინისტროს ან უწყების სხვა საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და სხვა ობიექტებს ან სსრ კავშირის სხვა ერთგვაროვან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტებს, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე მდებარეობენ.

3. საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებს და ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელწოდება რევოლუციური და სხვა ისტორიული მოვლენების აღსანიშნავად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პატივსაცემად, აგრეთვე განსაკუთრებით გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეების, სამშობლოს დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცველების, შრომის გმირების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ხელები.

განსაკუთრებით გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეების, სამშობლოს დამცველების, შრომის გმირების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელის მიკუთვნება წარმოებს სიკვდილის შემდეგ მათი ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

4. შუამდგომლობა საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის შესახებ შეიძლება აღძრან მშრომელებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა და მათმა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, სახელმწიფო, კოოპერაციულმა და საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა.

შუამდგომლობა სახელის დარქმევისა და გადარქმევის შესახებ გაეგზავნება:

რკინიგზის სადგურებისა და სამგზავრო გასაჩერებელი პუნქტების, საზღვაო ნავსადგურებისა და ნავსადგურპუნქტების, აეროპორტების მიმართ — შესაბამისად გზათა სამინისტროს, საზღვაო ფლოტის სამინისტროს და სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს;

საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტების მიმართ — სსრ კავშირის იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან ეს ობიექტები;

იმ მონუმენტების, ობელისკებისა და მონუმენტური ხელოვნების სხვა ნაწარმოებთა მიმართ, რომლებიც შენდება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით, — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს;

ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების მიმართ — სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოსთან არსებულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა საუწყებათაშორისო კომისიას და იმავდროულად მოკავშირე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას, თუ ობიექტი იმყოფება ერთი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, თუ ობიექტი იმყოფება რუსეთის სფსრ, ორი ან რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ.

II. საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებისათვის სახელის დარქმევა და გადარქმევა

5. საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებს სახელწოდებას მიაკუთვნებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებანი, როდესაც ისინი დადგენილი წესით გადაწყვეტენ ამ ობიექტების შექმნის საკითხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებს სახელწოდებას მიაკუთვნებენ რევოლუციური და სხვა ისტორიული მოვლენების აღსანიშნავად, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პატივსაცემად სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებანი, რომელთა გამგებლობაში იმყოფება ეს ობიექტები, იმ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია ეს ობიექტები.

რკინიგზის სადგურებს, სამგზავრო გასაჩერებელ პუნქტებს, საზღვაო ნავსადგურებს, ნავსადგურპუნქტებს და აეროპორტებს აღნიშნული სახელწოდება მიენიჭებათ იმ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თანხმობით, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია ეს ობიექტები.

განსაკუთრებით გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეების, სამშობლოს დამცველების, შრომის გმირების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელის მიკუთვნება საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებისათვის წარმოებს შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებისა „მხარეებისა, ოლქებისა, რაიონებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისა, კოლმეურნეობებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელის მიკუთვნების საქმის მოწესრიგების შესახებ“ და 1966 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულებისა „საწარმოებისა, რკინიგზის სადგურებისა, დაწესებულებებისა და საერთო-საკავშირო დაქვემდებარების სხვა ობიექტებისა და ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებით გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელის მიკუთვნების წესის შეცვლის შესახებ“.

7. სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო, საპროექტო ორგანიზაციების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და საკავშირო დაქვემდებარების სხვა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახელწოდებანი, როგორც წესი, უნდა ასახავდეს მათს ადგილსამყოფელს, საქმიანობის საგანს და საქვეუწყებობას. საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შეიძლება მიეკუთვნოს შეკვეცილი და პირობითი სახელწოდება. არ შეიძლება ისეთი სახელწოდების მიცემა, რაც უკვე მიკუთვნებული აქვთ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს (მათი დაქვემდებარების მიუხედავად), რომლებიც მდებარეობენ ოლქის, მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის ან იმ მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელსაც საოლქო დაყოფა არა აქვს.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახელწოდება შეთანხმებულ უნდა იქნას მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, ხოლო თუ ეს ობიექტები მდებარეობენ ისეთი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, ან რამდენიმე ოლქის, მხარის, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაშინ სახელწოდება უნდა შეთანხმებულ იქნას შესაბამის მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) აღმასრულებელ კომიტეტებთან ან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან სახელწოდების შეთანხმება საჭირო არ არის, თუ სახელწოდების მიკუთვნება ხდება მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ან მინისტრთა საბჭოების თანხმობით, როდესაც სახელწოდება ეძლევათ სამხედრო ობიექტებს, თავდაცვითი მნიშვნელობის მქონე ობიექტებს, აგრეთვე სარკინიგზო ტრანსპორტის საექსპლუატაციო საწარმოებსა და ორგანიზაციებს და სხვა საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია დისლოკაციის ხშირად შეცვლასთან.

8. რკინიგზის სადგურებს, სამგზავრო გასაჩერებელ პუნქტებს, საზღვაო ნავსადგურებს, ნავსადგურპუნქტებს და აეროპორტებს მიეკუთვნებათ, როგორც წესი, იმ დასახლებული პუნქტების სახელწოდება, რომლებშიაც განლაგებულია მოცემული სატრანსპორტო ობიექტები, ამასთან სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ობიექტებს, რომლებიც განლაგებული არიან ერთსა და იმავე ადგილას, მიეკუთვნებათ ერთნაირი სახელწოდება.

რკინიგზის სადგურების, სამგზავრო გასაჩერებელი პუნქტებისა და საზღვაო ნავსადგურების, ნავსადგურპუნქტებისა და აეროპორტებისათვის სახელის მიკუთვნება წარმოებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და იმ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია ობიექტები, ხოლო ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული ობიექტებისათვის მისაკუთვნებელი სახელწოდება არ ემთხვევა იმ დასახლებული პუნქტების სახელწოდებას, რომლებშიაც ისინი არიან განლაგებულნი ან როდესაც ეს ობიექტები იმყოფებიან დასახლებული პუნქტების გარეთ, ამის გარდა — სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოსთან არსებულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა საუწყებათაშორისო კომისიასთან შეთანხმებით.

იმ სარკინიგზო ასაქცევებისა, გასასწრები პუნქტებისა, ლიანდაგის საგუშაგოებისა და ბლოკსაგუშაგოებისათვის სახელის დარქმევა და გადარქმევა, როდესაც ისინი არ არიან აღნიშნული რიგითი ნომრით ან რკინიგზის შესაბამისი კილომეტრის ნომრით, ხდება იმ წესების მიხედვით, რაც დადგენილია ამ დებულებით რკინიგზის სადგურებისა და სამგზავრო გასაჩერებელი პუნქტებისათვის სახელის დასარქმევად და გადასარქმევად.

სანომრო ნიშნების მიკუთვნება სარკინიგზო ასაქცევებისა, გასასწრები პუნქტებისა, სალიანდაგო საგუშაგოებისა, ბლოკსაგუშაგოებისა და სამგზავრო გასაჩერებელი პუნქტებისათვის წარმოებს იმ წესით, რასაც დაადგენს გზათა სამინისტრო.

გზათა სამინისტროს შეუძლია მიაკუთვნოს სახელწოდება სარკინიგზო მატარებლებს.

ფუნ. 125/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. კავშირგაბმულობის საფოსტო-სატელეგრაფო საწარმოებს მიეკუთვნება იმ დასახლებული პუნქტების სახელწოდება, სადაც ისინი არიან განლაგებული.

10. მონუმენტებს, ობელისკებს და მონუმენტური ხელოვნების სხვა ნაწარმოებებს, რომელთა მშენებლობა სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით ხდება, სახელწოდებას მიაკუთვნებს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო იმ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით, რომელთა ტერიტორიაზე წარმოებს ამ ობიექტების აგება.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო დაამტკიცებს აგრეთვე მონუმენტური ხელოვნების აღნიშნულ ნაწარმოებებზე გასაკეთებელი წარწერის ტექსტებს.

11. საზღვაო და საჰაერო ხომალდებს, რომლებიც წარმოადგენენ საკავშირო დაქვემდებარების ობიექტებს, სახელწოდება მიეკუთვნებათ იმ წესების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სავაჭრო ნაოსნობის კოდექსით და სსრ კავშირის საჰაერო კოდექსით.

12. საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებისათვის სახელის გადარქმევა წარმოებს იმ წესების მიხედვით, რომლებიც დადგენილია ამ დებულებით შესაბამისი ობიექტების სახელწოდებისათვის.

სახელის გადარქმევა საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებისა, სამშენებლო, საპროექტო ორგანიზაციებისა, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა, უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის წარმოებს იმასთან დაკავშირებით, თუ ხდება მათი რეორგანიზაცია, სხვა ადგილას გადატანა, იცვლება მოქმედების საგანი ან საქვეუწყებობა, აგრეთვე სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში. სახელის გადარქმევისას, რაც ასახავს მხოლოდ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქვეუწყებობის მხოლოდ შეცვლას ან იმ დასახლებული პუნქტების სახელწოდების შეცვლას, სადაც განლაგებულია ობიექტები, ამ დებულების 6, 7 და 10 პუნქტებით გათვალისწინებული შეთანხმება საჭირო არ არის.

რკინიგზის სადგურების, სამგზავრო გასაჩერებელი პუნქტების, ასაქცევების, გასასწრები პუნქტების, სალიანდაგო საგუშაგოების, ბლოკსაგუშაგოების, საზღვაო ნავსადგურების, ნავსადგურპუნქტების და აეროპორტების სახელის გადარქმევა დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ სახელი გამოეცვალა იმ დასახლებულ პუნქტებს, რომელთა სახელწოდება ჰქონდა მიკუთვნებული აღნიშნულ ობიექტებს, და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ხდება აღნიშნული სატრანსპორტო ობიექტების სახელის გადარქმევა დასახლებული პუნქტების სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით, ამ დებულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმება საჭირო არ არის.

13. სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიერ საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებისათვის სახელის დარქმევა და გადარქმევა წარმოებს იმ დასახლებული პუნქტების და ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების ნასესხებ სახელწოდებათა დაწესებული ტრანსკრიფციის დაცვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის დარქმევა და გადარქმევა

14. სახელწოდება უნდა მიეკუთვნოთ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტებს:

მთებს, ხეობებს, მყინვარებს, ვაკეებს, კუნძულებს, ნახევარკუნძულებს და ხმელეთის რელიეფის სხვა ელემენტებს; ზღვებს, ყურეებს, სრუტეებს, მდინარეებს, ტბებს და სხვა ზედაპირულ წყალსატევებს; ბუნებრივ-ისტორიულ სფეროებს;

წყალქვეშა ქედებს, ღრმულებს, ქვაბულებს, მეჩეჩებს და წყალქვეშა რელიეფის სხვა ელემენტებს; ზღვის დინებებს, მიწისქვეშა წყლებს;

გეომორფოლოგიურ კომპლექსებს; სტრუქტურულ-გეოლოგიურ და სალანდშაფტო ერთიანობებს; სასარგებლო წიაღისეულთა საბადოებს;

მცენარეთა და ცხოველთა გვარეულობის, სახეობის ან სხვა ტაქსონომიკური კატეგორიის გავრცელების სფეროებს (არეალებს).

15. ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის დარქმევას, აგრეთვე მათთვის სახელწოდების მიკუთვნებას რევოლუციური და სხვა ისტორიული მოვლენების აღსანიშნავად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პატივსაცემად, აგრეთვე გამოჩენილი სახელმწიფო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეების, სამშობლოს დამცველების, შრომის გმირების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა პატივსაცემად ეწევიან:

მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მოკავშირე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის (ან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის) და სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოსთან არსებული გეოგრაფიულ სახელწოდებათა საუწყებათაშორისო კომისიის ერთობლივი წარდგენით, თუ ობიექტი იმყოფება ერთი მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოსთან არსებული გეოგრაფიულ სახელწოდებათა საუწყებათაშორისო კომისიასთან შეთანხმებით, თუ ობიექტი იმყოფება ერთი ან რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ;

იმ ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდება, რომლებიც იმყოფებიან სასაზღვრო ზოლში, შეთანხმებულ უნდა იქნას სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან, ხოლო სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ არსებული ობიექტებისა — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან.

16. ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის გადარქმევა დაიშვება რევოლუციური და სხვა ისტორიული მოვლენების აღსანიშნავად, განსაკუთრებით გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, აგრეთვე სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარქმევა ხდება იმ წესების მიხედვით, რაც დადგენილია ამ დებულებით აღ-ნიშნული ობიექტების დასახელებისათვის.

17. ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტებს, რომლებიც პირველად არიან აღ-ნიშნული მხოლოდ 1 : 100000 და უფრო მსხვილი მასშტაბის რუქებზე, სახელ-წოდებას მიაკუთვნებენ ის ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ ტოპოგრა-ფიულ და ჰიდროგრაფიულ გადაღებას, მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ან ავტონომიური რეს-პუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად, ხოლო თუ ეს ობიექტები იმყო-ფებიან ისეთი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე, რომლებსაც, საოლ-ქო დაყოფა არა აქვთ, ან რამდენიმე ოლქის, მხარის, ავტონომიური ან მოკავ-შირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, — მათი სახელწოდება შეთანხმებულ უნდა იქნას შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან. ასეთ შემთხვევებში სახელწოდების მიკუთვნება წარმოებს ამ დებულების, აგრეთვე იმ წესების მოთხოვნების დაცვით, რომლებსაც დაამტკიცებს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართვე-ლო სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა გენერალური შტაბის სამხედრო-ტო-პოგრაფიულ სამმართველოსთან და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ჰიდროგრაფიულ სამმართველოსთან შეთანხმებით.

აღნიშნული ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის გადარქ-მევა დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და წარმოებს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოს მიერ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოე-ბის აღმასრულებელ კომიტეტებთან ან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტ-რთა საბჭოებთან შეთანხმებით, ხოლო თუ ეს ობიექტები იმყოფებიან ისეთი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ ან რამდენიმე ოლქის, მხარის, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მათთვის სახელის გადარქმევა წარმოებს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით.

IV. დასკვნითი დებულებანი

18. ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ერთიანი ტრანს-კრიფცია უზრუნველყოფილია ინსტრუქციებითა და წესებით გეოგრაფიულ სახელწოდებათა ტრანსკრიფციის შესახებ და იმ გეოგრაფიულ სახელ-წოდებათა ლექსიკონ-ცნობარებით, რომლებსაც დაამტკიცებს სსრ კავ-შირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამ-მართველო სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა გენერალური შტაბის სამხედ-რო-ტოპოგრაფიულ სამმართველოსთან და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტ-როს ჰიდროგრაფიულ სამმართველოსთან შეთანხმებით და რომლებიც სავალ-დებულოა სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტების სახელწოდებათა ტრანსკრიფციას დააზუსტებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებანი, რო-მელთა გამგებლობაში იმყოფებიან ეს ობიექტები, ხოლო ფიზიკურ-გეოგრა-

ფიული ობიექტების სახელწოდებათა ტრანსკრიფციას — სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოსთან არსებული გეოგრაფიულ სახელწოდებათა საუწყებათაშორისო კომისია. შესაბამისად აღნიშნული ინსტრუქციებისა და წესებისა გეოგრაფიულ სახელწოდებათა ტრანსკრიფციის შესახებ და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონ-ცნობარებისა.

ყველა სამინისტრომ, უწყებამ, საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნული ინსტრუქციებითა და წესებით გეოგრაფიულ სახელწოდებათა ტრანსკრიფციის შესახებ, გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონ-ცნობარებით, როდესაც ისინი ეწევიან რუსულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა დაწერას ან რუსულ ენაზე გადაცემენ სხვა ენების გეოგრაფიულ სახელწოდებას სამეცნიერო, საცნობარო, სასწავლო, საინფორმაციო გამოცემებში, პერიოდულ პრესაში და კარტოგრაფიულ გამოცემებში.

19. საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტების სახელწოდებათა კატალოგებს აწარმოებენ სსრ კავშირის ის სამინისტროები და უწყებანი, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან ეს ობიექტები.

იმ მონუმენტების, ობელისკების და მონუმენტური ხელოვნების სხვა ნაწარმოებთა სიებს, რომლებიც შენდება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით, ადგენს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო.

ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტებზე წარმოებს კარტოტეკა სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარ სამმართველოში.

20. ოფიციალურ პუბლიკაციას სარკინიგზო სადგურების, სამგზავრო გასაჩერებელი პუნქტების, ასაქცევების, გასასწრები პუნქტების, სალიანდაგო საგუშაგოების, ბლოკსაგუშაგოების, საზღვაო ნავსადგურების, ნავსადგურპუნქტების, აეროპროექტების, კავშირგაბმულობის საფოსტო-სატელეგრაფო საწარმოების დასახელების, გადარქმევისა და მათ სახელწოდებათა ტრანსკრიფციის დაზუსტების შესახებ ახორციელებენ შესაბამისად გზათა სამინისტრო, საზღვაო ფლოტის სამინისტრო, სამოქალაქო ავიაციის სამინისტრო და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო.

პუბლიკაციას ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების დასახელებისა და გადარქმევის შესახებ, აგრეთვე მათ სახელწოდებათა ტრანსკრიფციის დაზუსტების შესახებ აწარმოებს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЯ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 1966 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/I-1967 წ. ქაღალდის ზომა 70 X 108/16.
ქაღალდი 17900, ნაბეჭდი თაბახი 6,5, სააღრიცხვო თაბახი 6,0.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

თარგმნილია რუსულიდან.

ტირაჟი 2750 შეკვეთა № 152

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა,
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ინდექსი — 76187